გამოცემის 102-ე წელი
# აჭარა
www.gazetiajara.ge
გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს
№67 (24.947) ხუთშაბათი, 30 ივნისი - 1 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 22-27, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი. მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

## კრიალოსანი უსი

მადრიდში, ნატოს სამიტის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურების პატივსაცემად, ესპანეთის მეფის ფილიპე VI-ის სახელით, ვახშამი გაიმართა, რომელსაც მსოფლიოს 40-ზე მეტი სახელმწიფოს ლიდერთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო. ვიზიტის ფარგლებში, პრემიერი შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრ მაგდალენა ანდერსონს, ასევე, აშშ-ის სენატის კონგრესმენთა დელეგაციას შეხვდა, რომელსაც სენატის საგარეო კომიტეტის ევროპის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, სენატორი ჯინ შაჰინი და სენატორი ტომ ტილისი ხელმძღვანელობდნენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ მიღწევებს, რომლებიც ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის სფეროებს მოიცავს. ირაკლი ღარიბაშვილი, ასევე, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს შეხვდა.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს გენერალურ დირექტორ კარინ იემტინს შეხვდა. პაპუაშვილმა მას მადლობა გადაუხადა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე მონაწილეობა მიიღო მრგვალი მაგიდის მუშაობაში, რომელიც საქართველოში გენდერზე დაფუძნებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეხებოდა.

* * *

გვესმის, რომ ჩვენი მხრიდან გარკვეულ თემებზე საჯაროდ საუბარი მმართველ გუნდს უხერხულობას შეუქმნის. ამიტომ, გვიწევს პარტიის, ფრაქციისა და საპარლამენტო თანამდებობების დატოვება და დამოუკიდებლად მოქმედება, - ამის შესახებ პარლამენტარებმა სოზარ სუბარმა, დიმიტრი ხუნდაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადეს. „ვრჩებით „ქართული ოცნების" მხარდამჭერებად და გუნდს ყველანაირად დავეხმარებით ყველა საქმეში, რომელიც ქვეყნის და ხალხის სასიკეთოდ არის გასაკეთებელი", - აღნიშნულია მათ მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში.

* * *

საქართველოს დელეგაციამ, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ლაშა დარსალიას ხელმძღვანელობით, უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვის ეუთოს ყოველწლიურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. მინისტრის მოადგილემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებების, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე ვითარების შესახებ.

**მოამზადა ია შველიძემ**

# ბათუმის ბულვარის განაშენიანება-კონსერვაციის გეგმა უახლოეს პერიოდში დამტკიცდება

მანანა ტაკიძე 577 10 15 17



***რეგიონში ტურისტული ნაკადების რაოდენობა 2019 წლის მაჩვენებელს დაუბრუნდა. ივლისის თვეში, ბათუმის აეროპორტში, 12 ქვეყნიდან 370 საერთაშორისო რეისი განხორციელდება - ამის შესახებ რეგიონის პირველმა პირმა, 28 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.*** თორნიკე რიჟვაძემ სხვა მნიშვნელოვან სიახლეებზეც ისაუბრა. კერძოდ, დასრულდა ბათუმის ბულვარის განაშენიანებისა და კონსერვაციის გეგმაზე მუშაობა. ბათუმის ბულვარს, მისი არსებობის ისტორიაში პირველად, გენერალური გეგმა ექნება. დოკუმენტი ბაღის ისტორიული იერსახის მაქსიმალურად შენარჩუნებას, მნიშვნელოვანი ჩარევებისა და ცვლილებების გარეშე აღდგენას, ძველი ბულვარის კონსერვაციას, სარეკრეაციო, თემატური სივრცეების, სანაპირო ზოლის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მოწესრიგებას ითვალისწინებს.

- მთავრობამ, ეკონომიკის სამინისტრომ და ბულვარმა დაასრულა მუშაობა ბათუმის ბულვარის განაშენიანების და კონსერვაციის გეგმაზე. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული. ახლა ჯერი ბათუმის მუნიციპალიტეტზეა, საკრებულოზე. მინდა ვთხოვო, რომ უახლოეს პერიოდში დამტკიცდეს ბათუმის ბულვარის განაშენიანება-კონსერვაციის გეგმა, რაც, ერთხელ და სამუდამოდ, მომავალში გამორიცხავს ნებისმიერი სახის ჩარევას ბულვარის განვითარებაში და ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარემ დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილური განვითარება უზრუნველყოფილი იქნება.

- ყველას კარგად ესმის, პირველ რიგში, ხალხს, რომ რადიკალური ნაწილი ცდილობს, მათ შორის, ეს მიმდინარე წარმატებული აღდგენა, ნებისმიერი საშუალებით დააზიანოს, გამოიწვიონ გარკვეული უკმაყოფილება მოსახლეობაში, თუმცა ისინი ამ მიზანს ვერ მიაღწევენ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ, ჩვენი ქვეყანა, აუცილებლად დავიკავებთ ჩვენს ღირსეულ ადგილს, მათ შორის, ევროპულ ოჯახში. თუმცა, არა მგონია, ქართველი ხალხის ნება იყოს ან ჩვენი წინაპრების ოცნება, რომ ლიბერასტების ჩრდილოვან კაბინეტს გადავცეთ ხელისუფლება. ასე რომ, ყველაფერი მიდის გეგმის შესაბამისად და ამ ქვეყანაში იქნება უზრუნველყოფილი როგორც მშვიდობა, ასევე სტაბილური განვითარება, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

როგორც მთავრობის სხდომაზე ითქვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 6%-ით გაიზარდა და 482 მილიონ ლარს აღემატება, რომლის ფარგლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. ქალაქს 2500 მოსწავლეზე გათვლილი ორი ახალი სკოლა შეემატება. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილის განმარტებით, სასკოლო სივრცეების მოსაწყობად ტენდერი გამოცხადებულია, რისთვისაც ბიუჯეტით 20 მილიონამდე ლარია გათვალისწინებული. ხულოში, სოფელ ვაშლოვანში კი 400 მოსწავლეზე გათვლილი ახალი საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა იგეგმება.

- გაზრდილი ბიუჯეტიდან თანხები ყველა სფეროს, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტის, ახალგაზრდობის ხელშეწყობასა და გაძლიერებას, სტუდენტების ევროპული განათლების ხელშემწყობ პროგრამებს მოხმარდება. გაზრდილი ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების პირობებში, გათვალისწინებულია დაფინანსების ხელშეწყობა ამ მიმართულებითაც და ბათუმელებს და ქალაქის სტუმრებს მრავალფეროვან პროგრამებს შევთავაზებთ, - განაცხადა მაია ხაჯიშვილმა.

ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე". ბათუმის მერის, არჩილ ჩიქოვანის, განცხადებით, პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბათუმის მერიის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რაც ავარიული სახლების ჩანაცვლებას და 3000-ზე მეტი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ასევე, გაიზარდა „ოცნების ქალაქის" მშენებლობის მეორე ეტაპის დაფინანსებაც. არჩილ ჩიქოვანის განცხადებითვე, მერია კიდევ ერთ პროგრამას განახორციელებს. მიმდინარე წელს, სრულად განახლდება ბათუმის ავტოპარკი. მერია, კაპიტალური ტრანსფერის მხარდაჭერით 60 ერთეულ ავტობუსს - ბათუმისთვის, 5 ერთეულს კი ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის შეიძენს, რითაც ამ მიმართულებით არსებული პრობლემა აღმოიფხვრება.

მიმდინარე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. შესაბამისი პროგრამა მომავალი თვიდან ამოქმედდება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ პროგრამის მნიშვნელობასა და კრიტერიუმებზე დეტალურად ისაუბრა.

**ბათუმისა და ხულოს დრამატულ თეატრებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს** 2

**ნანა (ნანო) შაინიძე: ლექსებს ვაგროვებ ნიჟარებივით...** 5

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



# გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი – ბათუმში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*არჩილ ჩიქოვანი ბათუმში მყოფ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ როსტოკის დელეგაციას შეხვდა. ბათუმის მერმა მხარეებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი ამ ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.*

- მოხარული ვარ, რომ გვეწვიეთ ბათუმში. ათწლიანი მეგობრული ურთიერთობა ამით კიდევ უფრო განმტკიცდება. დარწმუნებული ვარ, აქტიური თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და უახლოეს პერიოდში ბათუმსა და როსტოკს შორის თანამშრომლობის შეთანხმებას განვაახლებთ, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.



შეხვედრაზე ისაუბრეს ტურიზმის, ეკონომიკისა და ქალაქის განვითარების პოლიტიკაზე და ამ მიმართულებით მხარეების გამოცდილების გაზიარების, ასევე, ერთობლივი პროექტების განხორციელების აუცილებლობაზე.

დელეგაციის წევრებმა ბათუმის მერს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადეს და იმედი გამოთქვეს, რომ მალე ბათუმის დელეგაცია ქალაქ როსტოკს ეწვევა.

შეხვედრის ბოლოს სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

# მინისტრი ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს და ექსპორტიორებს შეხვდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, მოადგილეებთან ერთად, ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს და ექსპორტიორებს შეხვდა.* შეხვედრის მიზანი იყო მიმდინარე წლის ციტრუსის სეზონთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხილვა, ასევე, აღნიშნული საწარმოების ჩართულობა და მზადყოფნა ციტრუსის დამზადების პროცესში.



შეხვედრაზე განიხილეს ლოგისტიკის, ციტრუსის დამზადების, შემფუთავი საწარმოების ტარით უზრუნველყოფისა და საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდების საკითხები, ასევე, ციტრუსის გადამამუშავებელ ქარხნებსა და რეგიონში მოქმედ შემფუთავ საწარმოებს შორის შემდგომი თანამშრომლობის საკითხები.

# ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა და ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრებს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელები ჰყავს

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

*ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს ირაკლი კიკვაძე უხელმძღვანელებს. ამის შესახებ 28 ივნისს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია. ირაკლი კიკვაძე პროფესიით კინო-ტელერეჟისორია და სხვადასხვა ტელეარხზე მუშაობის გამოცდილება აქვს*

- როგორც იცით, თეატრს ჰქვია თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სწორედ ეს სახელი გვინდა გავამართლოთ და მოზარდებს შევთავაზოთ ბევრი კარგი სიახლე. ახალი სპექტაკლები, წარმოდგენები, ფესტივალები, სხვადასხვა ღონისძიება - ეს ის ჩამონათვალია, რომელიც დღესდღეობით აკლია ჩვენს თეატრს. ამ მიმართულებით წარმოვადგინე ორიგინალური კონცეფცია, რის შედეგადაც კონკურსში გავიმარჯვე. მოგეხსენებათ, პანდემიის დროს ყველა დაწესებულება დაიკეტა, მათ შორის თეატრებიც. ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საშუალება, სახლიდან გაუსვლელადაც ნახონ სპექტაკლები და სხვადასხვა წარმოდგენა. ჩვენ ამ იდეას აუცილებლად განვახორციელებთ. ბათუმი პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ბევრი ჩემი თანაუნივერსიტეტელი მუშაობს თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში. მეტ-ნაკლებად ვიცი მათი შესაძლებლობები. ჩვენ აუცილებლად ერთ გუნდად ყველაფერს შევძლებთ, - განაცხადა ირაკლი კიკვაძემ





28 ივნისსვე გახდა ცნობილი ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის ვინაობაც. თამაზ ბოლქვაძე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სასცენო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებს. როგორც თავად ამბობს, ყოველთვის სურდა, თავის ფესვებს დაბრუნებოდა და მოღვაწეობა ხულოს მუნიციპალიტეტში გაეგრძელებინა.

- ხულოსთან ფესვები მაკავშირებს და სწორედ ამან მომცა დიდი მოტივაცია, დავბრუნებულიყავი ჩემს კუთხეში. ამ მიმართულებით პროფესიული განათლება და გამოცდილებაც მაქვს. ოფიციალური წარდგენის შემდეგ დეტალურად გავერკვევი თითოეულ საკითხში და მთელი პასუხისმგებლობით შევასრულებ დაკისრებულ მოვალეობას, - გვითხრა თამაზ ბოლქვაძემ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებულ თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურები სარეკომენდაციო საბჭომ წარადგინა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ყველა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელებს უფლებამოსილების ვადა 2022 წლის პირველ ივნისს ამოეწურა. შერჩეული კანდიდატები საქმიანობას 2022 წლის პირველ ივლისს შეუდგებიან.

რაც შეეხება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, სამინისტროს ინფორმაციით, კონკურსი ამ ეტაპზე არ გამოცხადებულა.

# წელს ჭოროხის გზაზე შესრულდება 1 500 000 ლარის სამუშაოები

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ჭოროხის გზის მიმართულებით ტენდერის მოსამზადებელი პროცედურები დაიწყო. აღნიშნულ მონაკვეთებზე ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. საავტომობილო გზის - ჭოროხის გზა (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი, 5,7 კმ) 3,5 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია უკვე განხორციელდა, სადაც დაიგო ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი, ხოლო დარჩენილ 2,2 კმ მონაკვეთზე მიმდინარეობდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის პროცედურები, რაც ხელს უშლიდა სამუშაოების წარმოებას.

ამჟამად მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის პროცედურები დასრულებულია და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი უახლოეს დღეებში გეგმავს როგორც დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაციის, ასევე ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობისათვის ტენდერის გამოცხადებას.

პროექტის განხორციელება წელსვე დაიწყება. პროექტი გარდამავალია და მომდევნო წელს დასრულდება. მზად არის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მიმდინარე წელს ჭოროხის გზაზე შესრულდება 1 500 000 ლარის სამუშაოები.

საავტომობილო გზა ტენდერის გამოცხადებამდე აჭარის საავტომობილო გზების დეპარატამენტის უფროსმა მამუკა თურმანიძემ პირველ მოადგილესთან, საპროექტო ორგანიზაციისა და აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა.



# საპილოტე პროგრამა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*გუშინ ხულოს მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საპილოტე პროგრამის წარდგინება გაიმართა*

წარმოადგინეს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.



მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში წარდგენილი იდეების ავტორებმა ისაუბრეს მომავალი საქმიანობის შესახებ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი, ადგილობრივი რეწვისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, შეხვედრა პოეტ და კინორეჟისორ ლია ლიქოკელთან თემაზე „ქალები ისტორიიდან - საჩუმათო ამბავი“, პირველი დახმარების სწავლება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხულოს ადგილობრივი ფილიალის მოხალისეების მიერ (სიმულაციები), ასევე, წარმოდგენილი იყო გაზეთ „ბათუმელების“ მოგზაური ბიბლიოთეკა. მონაწილეებს შესთავაზეს წიგნების გამოფენა-გაყიდვა. დაინტერესებულმა პირებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ახლად გამოცემულ წიგნებზე.

წარდგინებას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე ნადიმ ვასაძე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ექსპერტები მონაწილეობითი ბიუჯეტის საკითხებში ასლან ჭანიძე და ჯემალ ტაკიძე, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პროგრამით დაინტერესებული მოქალაქეები ესწრებოდნენ.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია 2022 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტის საპილოტე პროგრამას დაბა ხულოში პირველად ახორციელებს.

პროგრამის ფარგლებში 14 წლის და უფროსი ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონდა, წარედგინა საპროექტო იდეა.

ასეთი იდეები მიიღებოდა 2022 წლის 3 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით.

გამარჯვებულს კენჭისყრით გამოავლენენ დაბა ხულოში რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები. იდეებისთვის ხმის მიცემა დაიწყება 15 ივლისს და 17 ივლისამდე გაგრძელდება.

- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი „თვითმმართველობა ხარ შენ“ პროგრამა ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით, პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში.

პროგრამის საინფორმაციო მხარდამჭერია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“.

# ევროკომისიის ვერდიქტი, სახალხო მოძრაობის ულტიმატუმი და ხელისუფლების პასუხი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე დიდადაა დამოკიდებული საქართველოს მომავალი. სწორედ მათი ქმედებებით ქვეყანა წარმატებასაც აღწევდა და სავალალო შედეგებსაც იმკიდა, რაც აისახა კიდეც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, გამოკვეთილად კი საგარეო პოლიტიკაში. სამწუხაროდ, ევროკომისიამ ჩვენს ქვეყანას (უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით) წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა, ამიტომ ოპოზიცია ევროპული კურსის კრახში ხელისუფლებას ადანაშაულებს და ამ მიზნით დემონსტრაციებს აანონსებს*



მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოპოზიცია დაანონსებული 3 ივლისის აქციის მოლოდინშია, ექსპერტები მსჯელობენ, შეძლებს თუ ვერა ოპოზიციური სპექტრი გაჟღერებული მიზნების (მათ შორის პრემიერ-მინისტრის გადაყენება) შესრულებას და რამდენად იაქტიურებს მოსახლეობა თუნდაც ეროვნული დაუმორჩილებლობის თვალსაზრისით? როგორც ცნობილია, ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს კანდიდატის სტატუსის არმიღებაში და მმართველ პარტიას 3 ივლისამდე აძლევს ვადას - გადადგეს ღარიბაშვილი და შეიქმნას ეროვნული თანხმობის მთავრობა. ეს მოთხოვნა ახლადშექმნილმა სახალხო მოძრაობამ გააჟღერა ამასწინანდელ აქციაზე, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ოპოზიციური სპექტრი ქვეყნის მასშტაბით ეროვნულ დაუმორჩილებლობას და უწყვეტ აქციებს აანონსებს. თავის მხრივ, ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნების შესრულებას არ აპირებს და მას გაკოტრებულ ძალად მოიხსენიებს, თანაც დასძენს, რომ ქვეყნის ევროპული კურსი არსებული ხელისუფლების არსთა არსია.

ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ევროპა და, ზოგადად, დასავლეთი საქართველოსადმი კეთილგანწყობილია, რისი თქმის საფუძველს იძლევა თუნდაც ის, რომ მან ჩვენს ქვეყანას არა მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ნატოსა და ევროკავშირში გასაერთიანებლად, არამედ ეკონომიკური დახმარებაც გაუწია. ევროპარლამენტართა და ცალკეულ ამერიკელ კონგრესმენთა გზავნილები სწორედ საქართველოს დემოკრატიულობის განმტკიცებისკენაა გამიზნული, ევროკომისიის ამჟამინდელი უარი არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოვყაროთ - მათ წლის ბოლომდე მოგვცეს ვადა ვალდებულებების შესასრულებლად და ახლა ჯერი ჩვენზეა.

თვალნათელია, რომ საქართველოს მომავლის მერიდიანი საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ერთიანობაზე გადის და არა - ურთიერთდაპირისპირებაზე, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკოსებმა ეს ჭეშმარიტება ვერ გაითავისეს, სამაგიეროდ, დასავლეთში კარგა ხანია გააცნობიერეს, რომ სტაბილურობისთვის აუცილებელია პარტიებს შორის შეთანხმება სხვადასხვა საკითხზე, რათა სახელმწიფოში სტაბილურობა სუფევდეს. დასავლეთისგან განსხვავებით, უფრო შორსმჭვრეტელნი უნდა ვიყოთ. ჩვენს გეოსტრატეგიულ რეგიონში აუცილებელია სტაბილურობის შენარჩუნება, რადგან არაკეთილმოსურნეებმა შესაძლოა, ჩვენი არეულობით ისარგებლონ. შეგახსენებთ: სწორედ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წაგვგლიჯა რუსეთმა აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც და დსთ-ში გაგვაერთიანა, ამიტომ საქართველოსთვის ზესტრატეგიულია შიდა სტაბილურობა. ამგვარი საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს, ამიტომ მაგალითი დასავლური ქვეყნებისგან უნდა ავიღოთ, იქ დემოკრატია არ იზღუდება, ანუ ისინი შეთანხმებულნი არიან უმთავრესში - მნიშვნელოვან საკითხებს არა ერთპიროვნულად, არამედ ფართო დისკუსიის ანაც რეფერენდუმის მეშვეობით წყვეტენ. თუ დავაკვირდებით, ევროპაში, ძირითადად, მთავრობები კოალიციურია და ეს სულაც არ უქმნის მათ პრობლემებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპაში საზოგადოების ყველა ფენის ინტერესები გათვალისწინებულია, რასაც გავლენიანი პარტიები ატარებენ, ჩვენთან კი ამ კუთხით არასახარბიელო მდგომარეობაა... ისმის კითხვა: ევროკომისიამ რატომ არ მოგვანიჭა კანდიდატის სტატუსი და რას უქადის ქვეყანას ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთდაპირისპირება?

ცხადია, ყველა ქართველი გულნატკენია ევროკომისიის ამასწინანდელი გადაწყვეტილებით - მმართველი პარტიის წევრები ამბობენ, რომ საქართველო იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს. როგორც ჩანს, ევროკომისიამ არასაკმარისად ჩათვალა საქართველოში განხორციელებული რეფორმები, მათ არ დავიწყებიათ შარლ მიშელის დოკუმენტის შეუსრულებლობა ხელისუფლების მხრიდან, ასევე, 2020 და 2021 წლების არჩევნებში დაგროვილი კითხვები.

ევროპარლამენტართა თქმით, საქართველოში სასამართლო სისტემა ზეწოლას განიცდის მმართველი გუნდისგან, გარდა ამისა, ცესკოს დაკომპლექტების წესი კითხვის ნიშნებს ტოვებს და ა. შ. მმართველი პარტია აცხადებს, რომ, რეალურად, დასავლეთმა არ აპატია საქართველოს, რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი რომ არ გახსნა, რაც, ექსპერტთა თქმით, რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან დასავლეთს ხელს არ აძლევს ახალი ცხელი წერტილის გახსნა, თუნდაც მილიარდობით დოლარის გაღების თვალსაზრისით. დასავლეთი ისედაც აწვდის უკრაინას მილიარდი დოლარის შეიარაღებას თავდაცვისთვის. ასე თუ ისე, ევროკომისიის ვერდიქტმა საქართველოსთან დაკავშირებით ქვეყანაში, გარკვეულწილად, პოლიტიკური პროცესები გამოაცოცხლა.

სახალხო მოძრაობა, როგორც აღვნიშნეთ, 3 ივლისს თბილისში გრანდიოზული მიტინგის ჩატარებას გეგმავს. როგორც აცხადებენ, მანამდე არ დაიშლებიან, ვიდრე მათი მოთხოვნები არ შესრულდება. ამ დრომდე ჩვენს ქვეყანაში მიტინგების წარმმართველი ძალა პოლიტიკური პარტიები იყვნენ, ახლა კი ეს მისია სახალხო მოძრაობამ ითავა. მათი თქმით, ეს მოძრაობა ზეპარტიულია. საერთოდ, ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების კამპანიის ორგანიზება რთულად შესასრულებელია, ამას სჭირდება, უპირველესად, გამოკვეთილი ლიდერი, როგორიც იყო ზვიად გამსახურდია საქართველოში, ანდა სამხრეთ აფრიკაში - ნელსონ მანდელა, რომ არაფერი ვთქვათ მაჰათმა განდიზე, გარდა ამისა, ეროვნული დაუმორჩილებლობის ტალღამ უნდა მოიცვას მოსახლეობის ყველა ფენა, რაც მთავარია, ოპოზიციის უმთავრესი ბირთვი არ უნდა შეეკრას ხელისუფლებას. ამ მხრივ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ქვეყანაში გავლენიანი ლიდერი არ ჩანს და ეს რეალობაა, ოპოზიციის რეიტინგი დაბალია, ეს არ არის გასაკვირი. მათ ვერ მოახერხეს ოპოზიციური ამომრჩევლის ნდობის გამართლება, დაიყვნენ - ზოგი პარლამენტში შევიდა, ზოგმა ბოიკოტის გზა აირჩია, არც ფიზიკურ დაპირისპირებაზე უთქვამთ უარი, ახლაც ვერ თანხმდებიან. მაგალითად, შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი, რათა დისკომფორტი შეუქმნას ხელისუფლებას. აღსანიშნავია, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობის კამპანია შეიძლება რამდენიმე თვე გაგრძელდეს, რასაც თან უნდა ერთვოდეს ყოველდღიური მიტინგები, სწორედ ასე იქცეოდა გამსახურდია, როცა კომუნისტურ პარტიას დემოკრატიული საარჩევნო კანონი მიაღებინა. დღევანდელი ოპოზიციის ნაწილს სულაც არ ეტყობა, რომ გულწრფელად სურს ხელისუფლების შეცვლა, ყოველ შემთხვევაში, პარლამენტარი იაგო ხვიჩია აცხადებს, რომ სახალხო მოძრაობის მოთხოვნები (ხელისუფლებასთან მიმართებით) არასერიოზულია, ამასთან, დასძენს, რომ აჯობებს, თუკი „ნაცმოძრაობა“ დაიშლება. საპირისპიროს ამტკიცებს შალვა ნათელაშვილი: „პირდაპირ ვამბობ, რომ ოპოზიციის ნაწილი შეკრულია ივანიშვილთან, მათ რომ მართლა სურდეთ ხელისუფლების შეცვლა, პარლამენტს დატოვებდნენ“, - ამბობს იგი. თავის მხრივ, ოპოზიციის ნაწილი ნათელაშვილს ქართველ ჟირინოვსკიდ მოიხსენიებს და ასე გრძელდება წლიდან წლამდე, ამასობაში წლები გადის, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, ჩვენგან განსხვავებით, მოახერხეს შეთანხმება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და წარმატებებსაც მიაღწიეს, ჩვენთან კი კვლავაც გრძელდება ურთიერთდაპირისპირება და შუღლი, რასაც თან ერთვის საზოგადოების პოლარიზება, რომ აღარაფერი ვთქვათ დაქსაქსულ ოპოზიციაზე და ხელისუფლების თვითკმაყოფილებაზე... არადა, ყველაზე მეტად ქვეყანას და საზოგადოებას ის უნდა აინტერესებდეს, რომელ და როგორ პოლიტიკურ ძალას აქვს პრეტენზია მართოს ხვალ ქვეყანა, ვინ არიან ისინი? რა შეუძლიათ მათ? უმთავრესი კი ის არის, რომ თავად მოსახლეობამ გაითავისოს რეალობა, რა ხდება, რა საშიშროება არსებობს და საიდან ემუქრება საფრთხე სახელმწიფოებრიობას. თუ წლის ბოლომდე ჩვენმა ქვეყანამ კვლავ ვერ მიიღო კანდიდატის სტატუსი, ეს საქართველოს მომავალზე უარყოფითად აისახება, რაც ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა და საზოგადოებამ არაფრით არ უნდა დაუშვან, პირიქით, ყველაფერი უნდა გააკეთონ ევროკავშირში გასაწევრიანებლად, რათა რუსული სივრცის სამუდამო ტყვე არ აღმოვჩნდეთ. სწორედ პოლიტიკოსების (უმთავრესად ხელისუფლების) ვალდებულებაა, ქვეყანამ რუსული საფრთხეები თავიდან აიცილოს და ქართველი ერის მიზანი (გაერთიანება ნატოსა და ევროკავშირში) სისრულეში მოიყვანოს.

*„მმართველი პარტია აცხადებს, რომ, რეალურად, დასავლეთმა არ აპატია საქართველოს, რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი რომ არ გახსნა, რაც, ექსპერტთა თქმით, რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან დასავლეთს ხელს არ აძლევს ახალი ცხელი წერტილის გახსნა, თუნდაც მილიარდობით დოლარის გაღების თვალსაზრისით. დასავლეთი ისედაც აწვდის უკრაინას მილიარდი დოლარის შეიარაღებას თავდაცვისთვის. ასე თუ ისე, ევროკომისიის ვერდიქტმა საქართველოსთან დაკავშირებით ქვეყანაში, გარკვეულწილად, პოლიტიკური პროცესები გამოაცოცხლა*

## უცხოეთი

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი შვედეთისა და ფინეთის ალიანსში გაწევრიანების სწრაფ რატიფიცირებას ელის, - ამის შესახებ მან ნატოს მადრიდის სამიტის მე-2 დღეს ჟურნალისტებს განუცხადა. „სამიტზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ შვედეთი და ფინეთი მოვიწვიოთ, რათა გახდნენ წევრები, ეს უპრეცედენტოდ სწრაფი ქმედებაა. მოწვევის შემდეგ ჩვენ გვჭირდება რატიფიკაციის პროცესი 30 პარლამენტში. ამას ყოველთვის გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ მე ასევე ველი, რომ ეს პროცესი სწრაფად წარიმართება“, - განაცხადა სტოლტენბერგმა. *ცნობისთვის: თურქეთი დათანხმდა, ფინეთისა და შვედეთის ნატოს სამხედრო ალიანსში გაწევრიანების პროცესს მხარი დაუჭიროს.*

* * *

ვლადიმერ პუტინს იმედი ჰქონდა, რომ უკრაინაში შეჭრით ნატოს გაფართოებას ხელს შეუშლიდა, თუმცა ეს სრულიად არასწორი აღმოჩნდა, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა. მისი თქმით, მადრიდში მიმდინარე სამიტი ისტორიულია. „ეს არის ისტორიული სამიტი მრავალი თვალსაზრისით, ნატოს უერთდება ორი ახალი წევრი - ფინეთი და შვედეთი, რაც ჩვენი ალიანსისთვის წინგადადგმული ნაბიჯია“, - აღნიშნა ჯონსონმა.

* * *

დასავლეთი უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით კონფლიქტს ახანგრძლივებს, - განაცხადა გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის პირველმა მოადგილე დიმიტრი პოლიანსკიმ. „ჩვენ დავიწყეთ სპეციალური სამხედრო ოპერაცია, რათა ბოლო მოგვეღო უკრაინის მიერ დონბასის დაბომბვისთვის და ასევე იმისთვის, რომ ქვეყანამ (რომელსაც დასავლური სახელმწიფოები დაეხმარნენ, რომ ანტირუსულ ქვეყნად ქცეულიყო) და მისმა ნაციონალისტურმა ხელმძღვანელობამ შეწყვიტონ საფრთხის შექმნა როგორც რუსეთისთვის, ასევე უკრაინის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხისთვის. სპეცოპერაცია გაგრძელდება მანამ, სანამ ეს მიზნები არ მიიღწევა“, - განაცხადა პოლიანსკიმ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

* * *

აშშ-ის ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში, მიტოვებულ სატვირთო მანქანაში, 42 ადამიანი, სავარაუდოდ, მიგრანტები, გარდაცვლილი იპოვეს. - ადგილობრივი გამოცემის ცნობით, კიდევ ათზე მეტი ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცველები სატვირთოს მძღოლს ეძებენ. გარდაცვლილთა ეროვნება ჯერ კიდევ უცნობია.

* * *

შოტლანდიის პირველი მინისტრი ნიკოლა სტარჯონი შეთავაზებით გამოვიდა დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის შესახებ მორიგი რეფერენდუმი 2023 წლის 19 ოქტომბერს გაიმართოს. მისი თქმით, კითხვა იგივე იქნება, რაც 2014 წლის რეფერენდუმზე: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი ქვეყანა?“. კენჭისყრის გამართვასთან დაკავშირებით, შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ოფიციალური თანხმობისთვის წერილობით მიმართა პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# „მიზნები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე დავისახე, არ მაძლევს მოდუნების საშუალებას“...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*ანი ამინაშვილი თეატრალური ინსტიტუტის წარმატებული და გამორჩეული სტუდენტია, ამავე დროს მნიშვნელოვან აქტივობებს ახორციელებს. ამას მოწმობს მის მიერ შექმნილი ორგანიზაცია „უცნობი მეგობარი“, რომლის ფარგლებში, საოკუპაციო ხაზთან მოსახლეობას ეხმარება ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. ნიჭიერი ახალგაზრდა აპირებს წიგნის გამოცემასაც, რომელშიც თავს მოუყრის ადამიანების ისტორიებს, ძირითადად, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებლების. უფრო მეტს ჩვენი ინტერვიუდან გაიგებთ.*



**- თეატრით როდის დაინტერესდით?**

- თეატრი ბავშვობიდან ჩემთვის საყვარელი ადგილი იყო. მახსოვს, დედაჩემმა პირველად რუსთაველის თეატრში სპექტაკლზე „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ“ წამიყვანა და ეს იყო დაუვიწყარი შთაბეჭდილება. მაშინ 6 თუ 7 წლის ვიყავი და მახსოვს, მომდევნო რამდენიმე დღე ამ სპექტაკლს ისევ თამაშობდნენ, მე კი სულ ერთი და იმავე ადგილას ვიჯექი და სპექტაკლს ვუყურებდი. მგონი, ეს იყო თეატრით პირველი მოჯადოება და მას შემდეგ სხვა პროფესიაზე არც დავფიქრებულვარ. ძალიან უნდა გიყვარდეს თეატრი, სხვაგვარად, იქ ყოფნას ვერ შეძლებ“ - მეუბნებოდა დედაჩემი და ამას ბოლომდე ვერასდროს ვიგებდი, მაგრამ ახლა, 22 წლის ასაკში, ზუსტად ვიცი, რას გულისხმობდა.

> ***„იმდენი პრობლემაა იქ, რომ ჩამოთვლასაც აზრი არ აქვს. დასაქმების პრობლემა, ალბათ, ყველაზე აქტუალურია, რადგან იქ არ არსებობს ნორმალური სამსახური. ზამთარში საერთოდ ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებს მოსახლეობა... ამიტომ ეს თუ მოგვარდება, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება. თუ ამ ადამიანებს ექნებათ დასაქმების საშუალება, ეს მათ პრობლემებს შეამსუბუქებს. აღარ იფიქრებენ, რა აჭამონ თავიანთ შვილებს, რა ჩააცვან, წამალი როგორ იყიდონ და ა. შ. რომ შემეძლოს, ერთ დიდ ქარხანას ავაშენებდი***

**- სტუდენტობა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო პერიოდია ახალგაზრდისთვის, მით უმეტეს, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, გვიამბეთ ამის შესახებ...**

- გეთანხმებით, ნამდვილად საოცარი პერიოდია სტუდენტობა და განსაკუთრებით თეატრალურ უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ სირთულეს ვხვდებით, მაინც რაღაც მიჯაჭვულობა არ გვაძლევს საშუალებას, იქაურობას მოვცილდეთ. მე და ჩემი ჯგუფელები მთელ ჩვენს დროს უნივერსიტეტში ვატარებთ. აქ რომ მოდიხარ, გაანალიზებული უნდა გქონდეს, რომ ყველაფერზე უარი უნდა თქვა, რაც უნივერსიტეტის გარეთ ხდება. თავისუფალი დროის დეფიციტი გვაქვს ყველა სტუდენტს, მაგრამ თუკი ის ჩნდება, დისკომფორტს განვიცდით. ჩემს შემთხვევაში ასეა. ძალიან რომ ვიღლები, აღარაფერი მინდა. უბრალოდ, მსურს ვიწვე, მეძინოს და დიდი ხნის განმავლობაში არავინ გამაღვიძოს. ახლა, როცა დავამთავრეთ ლექციები, რეპეტიციები, სპექტაკლები და შეგვიძლია, დავისვენოთ, ვერ ვახერხებთ. თითქოს ისევ იქ გვინდა, იმ გიჟურ რეჟიმში, რადგან ასე ვცხოვრობთ სამი წელია და სხვანაირად ვერ წარმოგვიდგენია. საბოლოოდ იმის თქმა მინდა, რომ ბევრი გულისტკენის, ცრემლის, კონფლიქტისა და პრობლემის მიუხედავად, ეს ის ადგილია, რომელიც გვიჭერს, გვიხუტებს და არსად გვიშვებს, ალბათ იმიტომ, რომ გვიყვარს ის პროფესია, რომელსაც ვაპირებთ, ჩვენი მთელი ცხოვრება მივუძღვნათ.

**- თეატრის სამყაროში დამკვიდრება, როგორც ცნობილია, ძალიან ძნელია. მზად ხართ ამისთვის?**

- დიახ, რა თქმა უნდა. ეს ალბათ ყველას გაანალიზებული აქვს, ვინც ამ პროფესიას ირჩევს. იცით, ამაზე რომ ვიფიქრო, ბევრად უფრო გამიჭირდება. უბრალოდ, ვცდილობ, დინებას მივყვე და საითაც წამიღებს, იქით წავალ. ამაზე წინასწარ არ ვფიქრობ... ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, არის ის, რომ საკუთარი პიროვნება არ დავკარგო, დანარჩენი კი ისე მოხდება, როგორც უკეთესი იქნება.

**- ანი, თქვენ მიერ დაარსებულ ორგანიზაციას „უცნობი მეგობარი“ უწოდეთ. საინტერესო განაცხადია. რა არის ამ ორგანიზაციის შექმნის მიზანი?**

- იცით, ეს ყველაფერი ისე სპონტანურად მოხდა, რომ მეც ვერ გავაანალიზე ბოლომდე. ყველაფერი ისევ და ისევ თეატრალური უნივერსიტეტიდან დაიწყო. მეტყველების ლექციაზე ვისხედით და ჩემთვის უსაყვარლეს ლექტორ ეკა ქუთათელაძესთან ერთად განვიხილავდით ჩვენს მომავალ გამოცდას. ომზე ვლაპარაკობდით და სვეტლანა ალექსეევიჩის წიგნიდან ვკითხულობდით ნამდვილ ამბებს. როგორც ჩანს, ამ ამბებმა საოცრად იმოქმედა ჩემზე და ღამე სიზმარი ვნახე. ამ სიზმარს, ჯერჯერობით, ჩემთვის შევინახავ. მეორე დღეს ზუსტად ვიცოდი, გორში უნდა ჩავსულიყავი და 2008 წლის ამბები მომესმინა, ამბები, რომელთა შესახებაც არავინ იცის. რამდენიმე დღის განმავლობაში ვეძებდი ამ ადამიანებს, სხვადასხვა ადგილას ვრეკავდი და საბოლოოდ სალომე სანიკიძემ დამაკავშირა დავით ხელაშვილთან. რამდენიმე დღეში დავითს ქვემო ჭალაში შევხვდი და დავიძარით გორისკენ. გზაში ძალიან ბევრ რაღაცას მიყვებოდა და იმდენი ამბავი დამიგროვდა მხოლოდ ამ 40 წუთში, რომ უკვე ვფიქრობდი, როგორ მომეყარა ამ ყველაფრისთვის თავი. ის დღე საკმაოდ მძიმე და დამღლელი აღმოჩნდა. უკვე გვიანი იყო, უკან რომ ვბრუნდებოდით. სწორედ, უკანა გზაზე მომიყვა დავითი ერთი ოჯახის ამბავს, რომლის დახმარებასაც თვითონ ცდილობდა, მაგრამ ბევრის გაკეთება არ შეეძლო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვთხოვე, იქნებ შევიაროთ და გამაცნო ეს ხალხი-მეთქი. საკმაოდ გვიანი იყო. ჩვეულებრივ, უცხო ადამიანებს ამ დროს სახლში არ ვაკითხავ, მაგრამ ამ შემთხვევაში, არ ვიცი, რა მოხდა. აი, იმ სახლში რომ მივედი და ის სამი საოცარი ბავშვი ვნახე, მივხვდი, მათი ცხოვრება ოდნავ მაინც უნდა გამეფერადებინა. მას შემდეგ ბევრი ოჯახის შესახებ მომაწოდა ინფორმაცია დავითმა, მე კი რაც შემიძლია, ყველაფრის გაკეთებას ვცდილობ.

რაც შეეხება ორგანიზაციის სახელს, ჩემი მეგობრის - ლუკა კალატოზიშვილის დამსახურებაა. დიდი ხნის წინ ვლაპარაკობდით მსგავს ორგანიზაციაზე და მაშინ მომაწოდა იდეა, მე კი კარგად დავიმახსოვრე. იმ ოჯახიდან რომ დავბრუნდი, სხვა სახელზე არც მიფიქრია. ადამიანები, რომლებიც ამ ოჯახებთან რაღაცებს მატანენ, მათთვის ხომ უცნობი მეგობრები არიან, მათ შორის - მეც.

**- ცხადია, ასეთი ორგანიზაციის შექმნის მესვეურებს, გარკვეულწილად, მოსახლეობის პულსი უნდა ესმოდეთ, მით უფრო, რომ თქვენ საოკუპაციო ხაზთან დაუცველ ადამიანებს ეხმარებით, რა არის ამჟამად მათი უმთავრესი პრობლემა?**



- იმდენი პრობლემაა იქ, რომ ჩამოთვლასაც აზრი არ აქვს. დასაქმების პრობლემა, ალბათ, ყველაზე აქტუალურია, რადგან იქ არ არსებობს ნორმალური სამსახური. ზამთარში საერთოდ ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებს მოსახლეობა... ამიტომ ეს თუ მოგვარდება, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება. თუ ამ ადამიანებს ექნებათ დასაქმების საშუალება, ეს მათ პრობლემებს შეამსუბუქებს. აღარ იფიქრებენ, რა აჭამონ თავიანთ შვილებს, რა ჩააცვან, წამალი როგორ იყიდონ და ა. შ. რომ შემეძლოს, ერთ დიდ ქარხანას ავაშენებდი ახლო-მახლო და ყველას დავასაქმებდი. ეს საოცრი იქნებოდა. ასევე, ერთ-ერთი ძალიან დიდი პრობლემა კანალიზაციის უქონლობაა. 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია, ისევ ორმოს ამოთხრა უწევდეთ ადამიანებს იმისთვის, რომ საპირფარეშო ჰქონდეთ. რომ შემეძლოს, პირველ რიგში, ამ პრობლემას მოვაგვარებდი. ასევე, არიან ოჯახები, რომლებიც ძალიან ახლოს ცხოვრობენ საოკუპაციო ხაზთან და ნებისმიერ დროს არსებობს რისკი, რუსმა ჯარისკაცებმა ისინი გაიტაცონ. ამიტომ მათი უსაფრთხოებისთვის თუ რამე გაკეთდებოდა, ესეც ძალიან კარგი იქნებოდა.

**- დღეისათვის ამ ორგანიზაციაში რამდენი ადამიანია გაერთიანებული? მისი კარი ყველასათვისაა ღია?**

- სიმართლე გითხრათ, მხოლოდ მე ვარ ამ ორგანიზაციაში და ჩემი მეგობრები მეხმარებიან, რითიც შეუძლიათ, ზოგი - ფიზიკურად, ზოგი - ფინანსურად, ზოგი - მორალურად. ნებისმიერს, ვისაც მოუნდება ამ ყველაფრის ნაწილი გახდეს, სიამოვნებით მივიღებ. ეს არის საქმე, სადაც ყველა ერთად მყარად უნდა დავდგეთ და ვეცადოთ, სხვებიც გავაბედნიეროთ იმ მცირედით მაინც, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. ეს მხოლოდ მატერიალური დახმარება არ არის. წეღან რომ გესაუბრეთ ჩემს პირველ ოჯახზე, როცა ჩავდივარ, მათთან აუცილებლად მივდივარ. იმის გამო, რომ იქ სხვა ოჯახებიცაა, ხანდახან მათთვის რამე რომ წავიღო, ადგილი ფიზიკურად აღარ მაქვს მანქანაში, მაგრამ ხელცარიელსაც ისეთი გულითა და სითბოთი მიღებენ, რომ ამის დავიწყება შეუძლებელია. უკან იმხელა სითბოსა და სიყვარულს მიბრუნებს თითოეული იქ მცხოვრები, რომ მერე დიდი ხანი ამ ყველაფრით დამუხტული დავდივარ. სულ ვამბობ - იქაურობა არის ჯადოსნური ადგილი ჯადოსნური ადამიანებით და მოდი, ვაცხოვროთ ისინი ცოტა ჯადოსნობაში მაინც.

**- ვინ გეხმარებათ თქვენს საქმიანობაში და, ასევე, ხელისშემშლელი ფაქტორები რა კუთხით ვლინდება?**

- როგორც გითხარით, ჩემი მეგობრები ძალიან მეხმარებიან. პირველ ნაბიჯებს როცა ვდგამდი ამ ორგანიზაციასთან ერთად, მთელმა ჯგუფმა მოვიგეთ ეტიუდების ფესტივალზე პრიზი და ერთხმად გადავწყვიტეთ, ეს ფული ერთ-ერთ ოჯახს მოხმარებოდა. ამ ფულით ერთ ოჯახს აბაზანის გაკეთებაში დავეხმარე. ეს იყო, მგონი, ყველაზე კარგად დახარჯული ფული თითოეული ჩვენგანისთვის. როცა ჩამოვდივარ, ვყვები-ხოლმე, ვინ ვნახე, რომელი ახალი ოჯახი აღმოვაჩინე... ერთხელაც, ვყვებოდი ბებიასა და შვილიშვილზე. ჩემი ერთი მეგობარი - ლიზა ნიკვაშვილი იმდენად დაინტერესდა ამ ამბით, რომ შემდეგ ჩასვლაზე წამომყვა და ბექას (შვილიშვილს) ოცნება აუსრულა - ტელეფონი უყიდა. ასევე, ჩემი ერთი მეგობარი მარიამ დალაქიშვილი, სულ ცდილობდა, პროდუქტით დახმარებოდა ოჯახებს. ჩემი ლექტორებიც რითიც შეეძლოთ, მეხმარებოდნენ - იქნებოდა ეს მატერიალური თუ მორალური სახით. ყველას ვერ ჩამოვთვლი, იმდენი ადამიანია... სწორედ მათი დახმარებით და სრულიად უცნობი ადამიანების საშუალებით ჩავდივარ იქ და საჭირო ნივთები, პროდუქტი თუ მედიკამენტები ჩამაქვს. ამ ეტაპზეც ორგანიზაციის შესახებ ძალიან ცოტამ იცის... ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ჩემი მეგობრებისა და ოჯახის წევრების დახმარების იმედად ვარ. მსურს, ბევრმა ადამიანმა გაიგოს ამ ოჯახების შესახებ.

**- როგორც გავიგე, მოსმენილ ამბებზე დაყრდნობით წიგნს წერთ...**

- დიახ, მაგრამ არა - იმ ოჯახებში მოსმენილ ამბებზე. ვინაიდან მათაც ეხებათ ეს თემა, რამდენიმე ამბავი შეიძლება, მათიც მოხვდეს. წარმოდგენა არ მაქვს, რა გამოვა. ვისურვებდი, იმის ნახევარი მაინც გამოვიდეს, რაც ჩაფიქრებული მაქვს.

**- რა გაძლევთ ცხოვრების სტიმულს?**

- ყველაფერი. კონკრეტული პასუხი არ მაქვს. ალბათ, მიზნები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე დავისახე, არ მაძლევს მოდუნების საშუალებას და აუცილებელია, ყოველთვის მყარად ვიდგე ფეხზე.

**- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

- თავისუფალი დრო არ მაქვს. მთელი 10 თვის განმავლობაში წარმოდგენა არ მქონდა, რა არის თავისუფალი დრო.. მაგრამ ახლა, როცა გამომიჩნდა, მის არსებობას ვბლოკავ და რაღაც საქმეებს ვიგონებ. კითხვა მიყვარს, ასევე, ვწერ და ვცდილობ, სხვადასხვა კინორეჟისორის შემოქმედებას უფრო კარგად გავეცნო.

**- რომელი ფრაზით დაასრულებდით ჩვენს საუბარს?**

- რთული შეკითხვაა. საყვარელი ფრაზა არ მაქვს. მგონი, ასე, ფრაზებით არც ვლაპარაკობ, რასაც სულ ვამბობ, იმით დავასრულებდი ჩვენს საუბარს; „ვეცადოთ, ერთმანეთის ცხოვრება გავაფერადოთ“. ასე თუ მოვიქცევით, უფრო მარტივი იქნება ყველაფერი.

# ნანა (ნანო) შაინიძე: ლექსებს ვაგროვებ ნიჟარებივით...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ნანა (ნანო) შაინიძე - მშვენიერი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ხულოდან... მას განსაკუთრებულ ხიბლს მატებს და გამოარჩევს სამართლიანობა, გულწრფელობა და ლიდერის თვისებები. ქალბატონ ნანას „პეგასის“ დედასაც უწოდებენ, ამ ლიტერატურული კონკურსის დაფუძნებით მან მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუხსნა გზა და მისცა შესაძლებლობა, თავისი სიტყვა ეთქვა. მისი აზრით, სწორედ ეს თაობა შეძლებს, გამორჩეული სიტყვა თქვას და ადგილი დაიმკვიდროს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში. ქალბატონი ნანა წარმატებული პოეტია. არაერთ ლიტერატურულ საღამოზე მის მიერ გაჟღერებულმა ლექსებმა მოწონება დაიმსახურა, იგი პოპულარულია ინტერნეტსივრცეშიც. ახლა ახალ წიგნზე მუშაობს, რომელსაც წლის ბოლომდე წარუდგენს მკითხველს. ქალბატონი ნანა (ნანო) შაინიძე გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*



**- ჩვენი გაზეთის სტუმარი ერთი წლის წინათ იყავით. რა სიახლეა თქვენს შემოქმედებაში?**

- განსაკუთრებული - არაფერი. ერთდროულად ვმუშაობ ორ წიგნზე. ერთი ავტობიოგრაფიული რომანია, მეორე კი ლექსებისა და მოთხრობების კრებული. თუ მოხერხდა, წელს ეზიარება მკითხველი ჩემს ნაცოდვილარს.

**- საინტერესო შემოქმედი. მრავალმხრივი ინტერესებით - ასე გახასიათებენ. რას დაამატებთ?**

- რამდენად საინტერესო შემოქმედი ვარ, მკითხველის გადასაწყვეტია, მაგრამ დაუოკებელი წყურვილი რომ მაქვს სიახლეების, ეს არახალია. გამუდმებით ვეძებ საინტერესოს და სასარგებლოს მომავალი თაობებისთვის და ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, საკუთარი თავისთვისაც.

**- ოთარ ჭილაძე ამბობდა: გინდ მარადიულ ომში წასულხარ და გინდ კალმისთვის მოგიკიდია ხელიო...**

- მძიმე ჯვარია, უდიდეს სიამოვნებასთან ერთად, კალამთან მეგობრობა!.. ღმერთი როცა გამოგარჩევს ზეციური უნარით, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტი მოგეთხოვება და ნაკლები გეპატიება. მუდამ ფხიზლობდე უნდა, რათა არ გამოგრჩეს დრო, რომელ დროშიც შენი სათქმელი უნდა თქვა, უნდა იყვირო კიდეც, თუ საჭიროება მოითხოვს ამას!

**- თქვენ და პოეზია როდის დაუკავშირდით ერთმანეთს და როდის აღმოაჩინეთ, რომ პოეტი ხართ?**

- ასე მგონია, ერთად გავჩნდით მე და პოეზია, სიგიჟემდე ვარ მასზე შეყვარებული, თუმცა პოეზიის ღმერთების სამშობლოში პოეტობას ვერ დავიბრალებ, უბრალოდ, ლექსებს ვაგროვებ ნიჟარებივით და მერე ვუსმენ მათში ჩატეულ ჩემივე ტკივილებსა თუ სიხარულებს.

**- „ფეისბუქში“ ძალიან მგრძნობიარე პოსტებს აქვეყნებთ: „როცა ვინმეს გულისტკენას გადაწყვეტ, ცას ახედე, იქიდან ღმერთი გიყურებს“, - ამბობთ ერთგან. ეტყობა, ძალიან გატკინეს გული. იქნებ ჩვენს მკითხველს უამბოთ ისეთი, რაც ჯერ არავისთვის მოგიყოლიათ...**

- არის ტკივილები, რომლებსაც მხოლოდ ჩვენს ბალიშს ვუმხელთ ხოლმე.

**- „ჩემი წუწუნით ღმერთიც დავღალე, გალიპულ ქვაზე დავეძებ საყრდენს, მე რამდენჯერაც თავი დავხარე, სწორედ იმდენჯერ ავცილდი სათქმელს“... ახლა პროზაულად თქვით თქვენი სათქმელი.**

- ერთხელ, როცა მორიგი წუწუნით ღმერთი შევაწუხე, იქვე აღმოვაჩინე, რომ ვინც მყავს, რაც მაქვს, როგორიც ვარ, იმის მადლიერი უნდა ვიყო და გადავეჩვიე წუწუნს. საკუთარ თავში ხელახლა ვიშვი და აღვუთქვი, არასოდეს დავმორჩილდე ბედს და ქარს კი არ გავყვე ხმელი ფოთოლივით, არამედ მის საპირისპიროდ ვიარო სულ! სათქმელს რაც შეეხება, არასოდეს ვიხვევ გულში, თუმცა, ვცდილობ, კორექტულად და გაწონასწორებულად მივიტანო საზოგადოებამდე თუ კონკრეტულ ადრესატამდე.

**- ადამიანები, რომელთა ცხოვრებამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ...**

- ჩემი საოცარი შვიდეული - დედმამიშვილები, დღემდე მმატებენ ძალას და მაძლევენ ხვალინდელი დღის იმედს... მაგალითად კი დედ-მამა მყავდა ყოველთვის.

**- რაზე სწუხართ და რა გახარებთ, დღევანდელობას როგორ აღიქვამთ?**

- ბევრი საწუხარი დამიგროვდა ბოლოჟამს. უმეტესწილად სამშობლოზე ვწუხვარ. გასახარებლად კი ის ადამიანური ურთიერთობებია, ჩემი სამეგობროს სახით დღემდე რომ სასწაულად გადაურჩა დროის ვერაგ მანქანას.

**- რა გმატებთ სულიერ ძალას?**

- რწმენა - უფლის და საკუთარი თავის და, რაღა თქმა უნდა, სიყვარული.

**- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული...**

- კომუნიკაბელურობა.

**- როცა მარტო რჩებით, რა არის თქვენი ფიქრის საგანი?**

- ბევრი რამ... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**- ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანებში, ბუნებაში?**

- ადამიანში - ერთგულებას, ბუნებაში - ორიგინალურობას.

**- ზოგს მიაჩნია, რომ ადამიანები გამდიდრებისთვის უფრო იბრძვიან, ვიდრე ბედნიერებისთვის. თქვენ რას ფიქრობთ?**

- სამწუხარო რეალობაა. პირადად ჩემთვის უპირველესი ბედნიერებაა.

**- თქვენ დააარსეთ ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“. გვიამბეთ ამის შესახებ. და აქვე კითხვა: ამ კონკურსში გამარჯვებულების შემოქმედებას თუ ადევნებთ თვალყურს?**

- „პეგასი“ ხულოში დაიბადა და თანდათან რეგიონის მასშტაბით გაიდგა ფესვები. მეტად საინტერესო თაობა შეკრიბა ამ კონკურსმა და თამამად შემიძლია ვთქვა - ეს თაობა გამორჩეულ სიტყვას იტყვის ქართულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს მათ შემოქმედებას.

**- როცა ადამიანი კითხვას წყვეტს, აზროვნებასაც წყვეტსო - ნათქვამია. თქვენ რას კითხულობთ ბოლო ხანს?**

- ჰმ, გამოდის, რომ ვეღარ ვაზროვნებ, ბოლო სამი-ოთხი თვეა, არაფერი წამიკითხავს გადატვირთული დღის რეჟიმიდან გამომდინარე.

**- წელს ჯარისკაცის ფარაჯაც მოირგეთ, წვრთნა გაიარეთ...**

- სამხედრო ფორმების ჩაცმის ვერახსნილი ემოცია და განცდა ბავშვობისას ნანატრი სათამაშოს ჩუქების დროს დაუფლებულ ემოციას ჰგავდა - რომ ცმუკავ, ადგილს ვერ პოულობ და ერთი სული გაქვს, მეგობრებს აჩვენო შენი საჩუქარი. განსხვავება ერთი იყო - პასუხისმგებლობა, რაც ამ ფორმის ტარების უპირობო ვალდებულებაა... მე ხომ უკვე ჯარისკაცი ვიყავი! ეს ნიშნავს, იმაზე მეტად გრძნობდე სამშობლო მიწის დაცვის ვალდებულებას, ვიდრე აქამდე და მზად იყო, საკუთარი სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიიტანო სამშობლოს საკურთხეველთან. „ქვეყანაზე არავისთვის ნიშნავს მიწა იმდენს, რამდენსაც ჯარისკაცისთვის. როდესაც ცეცხლის გამო სიკვდილის შიშით შეპყრობილი დიდხანს, მჭიდროდ ეკრობა მას, სახითა და მთელი სხეულით ღრმად ეფლობა მასში, მიწა ხდება მისი ერთადერთი მეგობარი, მისი ძმა, მისი დედა. ჯარისკაცი თავისი შიშის შესახებ კვნესით და ყვირილით ამცნობს მდუმარე მიწას, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობს. მიწა კი მას თავის წიაღში იღებს, შემდეგ ისევ უშვებს ათი წამით, მოძრაობის, სიცოცხლის ათი წამით, შემდეგ ისევ გულში იკრავს, ზოგჯერ კი სამუდამოდ“. პირველი სროლის ემოცია ჯერაც არ მტოვებს... რომ იცი, მიზანში მტერი გყავს და არცერთი ტყვია უშედეგოდ არ უნდა გახარჯო... თუმცა შინაგანი ხმა მაინც მშვიდობას ჩაგძახებს ყურში და ასეც უნდა იყოს - არა ომს! ჩვეული სიმშვიდით შევხვდი ყველა შეტყობინებას თუ ზარს, აღშფოთებას და შეშფოთებას რომ გამოხატავდნენ მეგობარ-ნათესავ-ნაცნობები... რა ჩემი საქმეა თურმე ჯარი (?) არა, ჩემო კეთილო ადამიანებო, სწორედ რომ ჩემი, შენი და ჩვენი საქმე და უპირობო ვალდებულებაა, ყველა შესაძლებლობა მოვსინჯოთ, როგორ და სად შეიძლება გამოვადგეთ სამშობლოს! ვერც იმაში დაგეთანხმებით - „რა ქალის საქმეაო“, როცა იძახით... ბოლო ათწლეულების განმავლობაში რამდენმა ქალმა დატოვა ოჯახი ლუკმაპურის საშოვნელად და გადავარდა უცხო მხარეში, სხვათა მსახურად? გგონიათ, ისინი ჯარისკაცზე ნაკლებ შრომას და ჯაფას ეწევიან, რათა ოჯახები გამოკვებონ?.. ქალის სიძლიერეს და მოთმინებას ზღვარი არა აქვს. ამიტომ ნუ იტყვით, რომ ქალის საქმე არაა ჯარი. თან ეს ისეთი კარგი და ყველა მსურველზე მორგებული პროგრამაა, პირიქით, ბევრი უნდა წავიდეს. ჩვენ ხომ ისტორიულად სულ თავდაცვის რეჟიმში ვართ, ამიტომ ელემენტარული იარაღის სწორად დაჭერა მაინც უნდა შეგვეძლოს, გამოუვალ სიტუაციაში მაინც!... ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა სეირის საყურებლად კი არ იდგა ბრძოლის ველზე, როცა ბოლომ ასწია დროშა!.. მეტი ქალი - ჯარში!

**- გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის.**

> *„სამხედრო ფორმების ჩაცმის ვერახსნილი ემოცია და განცდა ბავშვობისას ნანატრი სათამაშოს ჩუქების დროს დაუფლებულ ემოციას ჰგავდა - რომ ცმუკავ, ადგილს ვერ პოულობ და ერთი სული გაქვს, მეგობრებს აჩვენო შენი საჩუქარი. განსხვავება ერთი იყო - პასუხისმგებლობა, რაც ამ ფორმის ტარების უპირობო ვალდებულებაა... მე ხომ უკვე ჯარისკაცი ვიყავი!*

*სიახლე*

# ქედას ახალი ტაძარი ექნება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

2006 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს ახლად ამოქმედებული სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად მეუფე სპირიდონი აკურთხეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში იგი ასე დამოძღვრა: «ყოვლად უწმინდესობავ, მეუფე სპირიდონ! თქვენ მიემგზავრებით საქართველოს იმ კუთხეში, სადაც პირველად იქადაგეს სახარება ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. ეს არის წმინდათაწმინდა ადგილი საქართველოში. ეს არის სისხლით მორწყული მიწა. მრავალი მოწამე, ღირსეული ქართველი შეეწირა ამ წმინდა მიწაზე ქრისტიანობას. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: ადამიანმა საქართველოში ერთი მუჭა მიწა რომ აიღოს, განსაკუთრებით - აჭარაში, ხელი მოუჭიროს, ქართველის სისხლი გამოედინება. ამ სისხლით მორწყულ მიწაზე უნდა იქადაგოთ და აღაშენოთ ტაძრები».

16 წელი ისტორიისთვის ერთი გაელვებაა, მაგრამ სხალთის ეპარქიაში რაც გაკეთდა, მეტად თვალსაჩინოა. ჯერ იყო და, სხალთის ისტორიულმა ტაძარმა ადრინდელი სახე დაიბრუნა, მის ეზოში იოანე ნათლისმცემლის სამლოცველო აიგო, ტაძარს გალავანი შემოევლო, რესტავრაცია და კონსერვაცია ჩაუტარდა სხალთის ტაძრის მიმდებარედ არსებულ მარანს. ახალი ტაძრები აიგო დაბა ხულოში, ხიჭაურის დასახლებაში. ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი ამ დასახლების სავიზიტო ბარათად იქცა. უკვე ხარაჩოებს იხსნის დაბა შუახევის ცენტრში მშენებარე ტაძარი.

მართლმადიდებელ მრევლს კარგად ახსოვს ის დღე, როცა დაბა ქედაში, საჩინო ადგილზე, მართლმადიდებელი ტაძარი ამოქმედდა. მაშინ ქედას ქრისტიანი მრევლის ასეთი რაოდენობა არ ჰყავდა. წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი ახლა მრევლს ვეღარ იტევს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით დაიწყო სამუშაოები დაბა ქედის ცენტრში ახალი ტაძრის ასაშენებლად. გეოლოგიურმა სამსახურმა დასკვნა დადო, გამოიყო მიწა, გაკეთდა პროექტი საპატრიარქოს შესაბამისი სამსახურის მიერ. როცა ყველა დოკუმენტაცია მოგვარდა, დაიწყეს ტაძრის საძირკვლის გაჭრა. ჯერი მიდგა დუღაბის ჩასხმაზე.

მიმდინარე წლის 28 ივნისი ახალ ფურცლად ჩაიწერა დაბა ქედის ისტორიაში. დილიდანვე გამოჩნდნენ მშენებარე ტაძრის ტერიტორიაზე მშენებლები. მეუფე სპირიდონმა და ეპარქიის მღვდელმსახურებმა პარაკლისი გადაიხადეს და ტაძრის საძირკველში პირველი დუღაბის ჩასხმა საზეიმოდ აკურთხეს.

ქედელების სიხარული, მღვდელმსახურებთან ერთად, ქედის, შუახევის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებმა, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის პედაგოგებმა გაიზიარეს.

- კარგად მახსოვს ის დღე, როცა დაბა შუახევის ცენტრში მშენებარე ტაძრის საძირკველში პირველი დუღაბი ჩავასხით. მაშინ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვიყავი. უფლის ნებით, პატრიარქისა და მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ტაძარი მალე მრევლს მოუხმობს და შუახეველი მართლმადიდებლების წმინდა შენობად იქცევა. დიდი სულიერი განცდა მეუფლება - მოწმე გავხდი ახალი ტაძრის მშენებლობის დაწყების. უფალმა დალოცოს ყველა, ვინც ამ დღეს მოესწრო, - თქვა ხიჭაურის უნივერსიტეტის პროფესორმა ტარიელ ებრალიძემ.



ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მისი შუახეველი კოლეგა ომარ ტაკიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე საძირკვლის ჩაყრის პროცესს დაესწრნენ.

- გავა დრო და ამ ტერიტორიას, სხალთის ეპარქიაში არსებულთაგან ყველაზე დიდი ტაძარი დაამშვენებს. იგი ყველა მართლმადიდებლის სალოცავი იქნება. ქედელებს წინაპრების ძირძველ მრწამსთან დაბრუნება უდიდეს პატივად მიგვაჩნია. მადლიერები ვართ, რომ ამ ეტაპზე ყველა საქმე პატრიარქისა და სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

დღის ბოლოს მეუფე სპირიდონმა მშენებლები, საზოგადოების წარმომადგენლები ტრაპეზზე მიიპატიჟა.

# საპილოტე პროექტი დამამთავრებელ ეტაპზეა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ქვეყნის 10 მუნიციპალიტეტში «მმართველობითი სისტემის განვითარების ცენტრი» ახორციელებს პროექტს «ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი - ძლიერი საქართველოსთვის». დანარჩენი მუნიციპალიტეტების მსგავსად, პროექტში ჩართულნი არიან შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები. «აჭარა» პროექტის მენეჯერ* ***კოკა (კონსტანტინე) კილურაძეს*** *შუახევში ესაუბრა.*

**- ამ ეტაპზე, პროექტი რა მიზანს ემსახურება?**

- კონკრეტულად, შუახევის მუნიციპალიტეტში ეს პროექტი მიზნად ისახავს საკრებულოს წევრების ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. თითოეული მათგანი, რომელიც წარმომადგენლობით ორგანოშია არჩეული, პირად საქმიანობას უნდა წარმართავდეს მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით და მათ განხორციელებულ სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ანგარიშს წარუდგენდეს. ჩვენი პროექტით, საკრებულოს წევრებს, ტექნიკურ და ინტელექტუალურ მხარდამჭერებთან ერთად, გამოცდილებასაც გავუზიარებთ. საკრებულოს წევრი უნდა გახდეს ანგარიშვალდებული ამომრჩევლების მიმართ და მათი წინადადებები, პრობლემები, სურვილები შესაბამის ორგანოებში წარადგინოს.

**- როგორც ვიცით, სამუშაო შეხვედრები ჯერ ადგილებზე დაიწყეთ, გაფართოებული სემინარი ბორჯომში ჩაატარეთ, უკვე პრაქტიკულ საქმიანობაზე გადადიხართ. შუახევსა და ქედაში რა მიმართულებებს ირჩევთ?**



- ჩვენ მთელს ქვეყანაში სამიზნედ 10 მუნიციპალიტეტი ამოვარჩიეთ. მათ წარმომადგენლებთან ბორჯომში შინაარსიანი და ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა. ჩვენი ტრენერები 3 დღის განმავლობაში მუშაობდნენ, მათ საჭირო ინფორმაცია მიიღეს კვლევის მეთოდებზე, ბიუჯეტის დაგეგმვაზე, ანგარიშვალდებულების სისტემებზე. თითოეული თემა ფართო ასპექტით განიხილებოდა. როგორც აღვნიშნეთ, უკვე პრაქტიკული ნაწილი იწყება. მისი პირველი ეტაპი გულისხმობს ანგარიშვალდებულებების გაძლიერებას, ამ მიმართულებით საკრებულოს წევრების მხარდაჭერას, რაც საჯარო შეხვედრებში იქნება გამოხატული. საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ოთხჯერ მაინც გამართოს საჯარო შეხვედრა საკუთარ ამომრჩეველთან, ყურად იღოს მათი მოთხოვნები და შემდეგ, ინტერესები საკრებულოში დაიცვას. ჩვენ საჯარო შეხვედრების დაწყებას ივლისში ვგეგმავთ. ხუთი სამიზნე საკრებულოს წევრებთან ერთად ხუთი საჯარო შეხვედრის ორგანიზებას ვიწყებთ. შეხვედრებს დაესწრებიან შესაბამისი დასახლების ამომრჩევლები, სხვადასხვა ინტერესჯგუფების წარმომადგენლები: ვეტერანები, ახალგაზრდები, ქალები, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, ექსპერტები, მასმედიის წარმომადგენლები. ჩვენი მიზანია, ასეთი შეხვედრები პროდუქტიული გახდეს და ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდეს. ამომრჩევლები მათ მიერ არჩეულ დეპუტატს უფრო დაუახლოვდებიან, დეპუტატის წარმოდგენილი ანგარიშიდან გაიგებენ რა იყო მთავარი, რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს საარჩევნო ვადის ამოწურვამდე. საკრებულოს წევრის ამ შეხვედრაზე ინტერესჯგუფების წინადადებებს რომ მოისმენს, იმის მიხედვით იმუშავებს.

**- «მმართველობითი სისტემის განვითარების ცენტრი» ვის წინაშეა ანგარიშვალდებული?**

- ჩვენი დონორია «გერმანიის საერთაშორისო განვითარების ორგანიზაცია», იგი მხარს უჭერს საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას. არჩეული პირები საკუთარ ამომრჩევლებთან იყვნენ ანგარიშვალდებულები. დონორი ორგანიზაცია კოალიციურია. მასში შედიან. «მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი»; «კარგი მმართველობის ინსტიტუტი და საერთაშორისო კულტურის ცენტრი», «სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი». ჩვენ გერმანულ ორგანიზაციებთან ანგარიშვალდებულნი ვართ. მათი მთავარი მიზანია საქართველოში დემოკრატიული პროცესებისადმი მხარდაჭერა.

**- რა ვადით მოქმედებს აღნიშნული პროექტი?**

- პროექტი დაიწყო შარშან ივლისში და წელს ნოემბერში დასრულდება. სიტყვა «დასრულდება» პირობითია. ეს მხოლოდ აქტიური ფაზის დასრულებაა, რაც გულისხმობს 10-ივე მუნიციპალიტეტში, მინიმუმ, ორი საჯარო შეხვედრის გამართვას. მომზადებულია სპეციალური სახელმძღვანელო, საკრებულოს წევრებისთვის დამზადებულია ბლოკნოტები, სადაც აისახება საჭიროებათა კვლევის მეთოდები. საბოლოო ჯამში, როცა პროცესები დასრულდება, საკრებულოს წევრები, სულ ცოტა, ორ შეხვედრაზე ამ ინფორმაციებს გამოიყენებენ. 15 ნოემბრის შემდეგ, თუ მათ სურვილი ექნებათ, მომავალში დამატებითი მხარდაჭერა მიიღონ და ინტერნეტ-პორტალით ისარგებლონ, რომელიც შემუშავებული გვაქვს (ამ პორტალზე საკრებულოს თითოეულ წევრს თავისი ადგილი აქვს), მომდევნო სამ წელიწადში ჩვენ ამ ინტერნეტმხარდაჭერას, კონსულტაციებს გავაგრძელებთ მოცემულ ეტაპზე არჩეულ საკრებულოებთან. ფაქტობრივად, ეს პროექტი თავისი შინაარსით, ამჟამად არჩეული საკრებულოების უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე გრძელდება. კიდევ სამ წელიწადს ყველა დეპუტატს ჩვენი მხარდაჭერა ექნება.

**- თქვენი საქმიანობა საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას რამდენად წაადგება?**

- ჩვენ დემოკრატიულ პროცესებს ვუკავშირებთ თუნდაც იმას, რომ არჩეული პირი ანგარიშვალდებული იყოს ამომრჩევლის წინაშე. იგი ყოველდღიურ რეჟიმში უნდა იღებდეს ინფორმაციას ამომრჩევლის საჭიროების შესახებ, მოკლედ, მათ პულსზე უნდა ედოს ხელი. დეპუტატობა უდიდესი პასუხისმგებლობაა საკუთარი ამომრჩევლის წინაშე და იგი მარტო საკრებულოების სხდომებზე დასწრებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. არჩეული თანამდებობის პირის, როგორც პოლიტიკოსის, ინტერესშიცაა, რომ ნამდვილ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდეს. მან შესაძლებელია, წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ სტრუქტურებში მუშაობა გააგრძელოს. ჩვენ დემოკრატიის განვითარებას ასე ვუყურებთ: ეს არის პროცესი, როცა ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ ან თავად იყვნენ არჩეულნი, იყვნენ მმართველობით პროცესებში ჩართულები. ჩვენი პროექტი შექმნის მოდელს. ამ ეტაპზე, მთელ საქართველოს არ მოვიცავთ. ეს საპილოტე პროექტია. თუ შევქმნით იდეალურ მოდელს შუახევში, ქედაში, ხარაგაულში, შემდეგ შევეცდებით, რომ 10 მუნიციპალიტეტში მიღებული შედეგები დანარჩენ 50-ზე მეტ მუნიციპალიტეტში გადაიღონ და გაიზიარონ. ესაა იდეალური მოდელი, თუ როგორ იმუშავებს საკრებულოს წევრი. სამუშაო პროცესში იქნება საპილოტე მუნიციპალიტეტებს შორის აზრთა გაზიარება, ცალკეული მიმართულებების უკეთ წარმოჩენა. ვგეგმავთ შუახევი და ონი ერთმანეთს დავუკავშიროთ. ეს მუნიციპალიტეტი ერთმანეთს ბუნებრივი პირობებითაც ჰგავს. ორივეგან მრავალი თემა ურთიერთკავშირშია. ონშიც და შუახევშიც სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

***„ ტრენერები 3 დღის განმავლობაში მუშაობდნენ, მათ საჭირო ინფორმაცია მიიღეს კვლევის მეთოდებზე, ბიუჯეტის დაგეგმვაზე, ანგარიშვალდებულების სისტემებზე. თითოეული თემა ფართო ასპექტით განიხილებოდა. როგორც აღვნიშნეთ, უკვე პრაქტიკული ნაწილი იწყება. მისი პირველი ეტაპი გულისხმობს ანგარიშვალდებულებების გაძლიერებას, ამ მიმართულებით საკრებულოს წევრების მხარდაჭერას, რაც საჯარო შეხვედრებში იქნება გამოხატული. საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ოთხჯერ მაინც გამართოს საჯარო შეხვედრა საკუთარ ამომრჩეველთან, ყურად იღოს მათი მოთხოვნები და შემდეგ, ინტერესები საკრებულოში დაიცვას***

# პირველი შორეული ნაოსნობის კაპიტანი - შუახევიდან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***მე-2 მსოფლიო ომის დროს შექმნეს ოჯახი სხეფელელმა ისმაილ დავითაძემ და ნენიელმა ზულფი მიქელაძემ. საომარი ღრუბლები საბჭოთა კავშირის თავზე იწყებდა შექუჩებას. ისმაილი შრომისმოყვარე, ალალი ჭაბუკი იყო. ღირსეული თანაუბნელების ივანე, ლევან, ახმედ, ვლადიმერ დავითაძეების გვერდით იდგა. ახლად შექმნილ ოჯახს თავს ევლებოდა, საერთო-სახალხო საქმეებსაც ეჭიდებოდა***

ოჯახი ზღვა სიხარულით აივსო, როცა წუთისოფელს ვაჟი მოევლინა. შვილის დაბადებიდან ორი თვეც არ იყო გასული, როცა ისმაილი ჯარში გაიწვიეს. უბანში პირველი ჭაბუკი იყო, რომელმაც ჯარისკაცის ფარაჯა მოირგო.



ომის საფრთხე რომ აშკარა იყო, ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავარსარდლობამაც იცოდა და რიგითმა ჯარისკაცმაც. სხეფელელი ბადრი დავითაძის საოჯახო არქივში შემონახულ გაყვითლებულ, დრო-ჟამისგან გაცრეცილ სამკუთხა ბარათებს რომ კითხულობ, გრძნობ იმ მოლოდინსაც, რასაც ისმაილი და მისი თაობის ჯარისკაცები განიცდიდნენ. თითქმის ყოველი მესამე წინადადების შემდეგ მეუღლეს ევედრება, რომ შვილს მიხედოს, უმამობა არ აგრძნობინოს.

ომი მსხვერპლისა და ნგრევის გარეშე არ არსებობს. მრავალი მილიონი ადამიანის მსგავსად, ისმაილ დავითაძის სიცოცხლეც დაიფერფლა (უკრაინის მიწაზე).

გლოვობდა უბანი, გლოვობდა ზულფი. ონავარ ილიას დედა, ახლობლები მზრუნველობას არ აკლებდნენ. ატირებულ დედას რომ დაინახავდა, კაბის კალთაზე ჩამოეკიდებოდა. თვითონაც ტირილს დაიწყებდა. მაშინ ილიამ არ იცოდა, მამის გარეშე ცხოვრება როგორ გაუჭირდებოდა. დედაშვილს გაჭირვება არც ომის წლებში ტოვებდა და არც მის შემდეგ.

ქვრივი ქალი, ობოლი ბიჭი ადრე ვერც წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამკალი და მასაზრდოებელი სოფელი ქიძინიძეები იქნებოდა. ზულფიმ ამჯერად ცხოვრება ქიძინიძეებელ მევლუდ გოგიტიძეს დაუკავშირა. ერთნი დედას ურჩევდნენ, შვილი სხეფელაში დავითაძეებისთვის დაეტოვებინა, მეორენი კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. დედობრივი ინსტინქტის კარნახით, დედამ შვილი თან გაიყოლა, შემდეგ კიდევ სამი ვაჟის დედობის ბედნიერება არგუნა ღმერთმა.

იზრდებოდა ილია ქიძინიძეებში. დედისა და მამობილის მსგავსად სხეფელელი დავითაძეები თანადგომას, რჩე-ვებს არ აკლებდნენ. ილია იმ თაობის ქიძინიძეებლებს შორისაა, რომლებმაც დიდი წილი გაიღეს მშობლიური შუახევისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ილიასა და ტარიელ, ავთანდილ ნიჟარაძეების, ბეჟან აბაშიძის, ვახტანგ გოგიტიძის, სულიკო ფუტკარაძის, მიხეილ თოიძის, არჩილ აბაშიძის მეგობრობა, ურთიერთობები საარაკოა.

ჯან-ღონით სავსე ჭაბუკს ურჩიეს ბათუმის საზღვაო სასწავლებელში სწავლა, ასეც მოიქცა. გონიერმა ყმაწვილმა ნიჭიერებით, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით თანაკურსელებსა და აღმზრდელებს თავი დაამახსოვრა. სასწავლებელი იშვიათ შემთხვევაში აძლევდა კურსანტს ნაოსნობაში წასვლის რეკომენდაციას. ერთეულების მსგავსად, ეს პატივი ობლობაში გაზრდილმა შუახეველმა ილია დავითაძემ დაიმსახურა.

- ჩემსა და ილიას შორის ასაკობრივი სხვაობა 11 წელია, - გვითხრა სხეფელელმა «საპატიო შუახეველმა» ნოშრევან დავითაძემ. ყველამ და მათ შორის მეც გავიხარეთ, როცა უბნიდ-



ან პირველს ერგო შორეული ნაოსნობის შტურმანად გამწესობის პატივი.

ზღვაოსნობის დიდმა სიყვარულმა ილია ოდესის უმაღლეს საზღვაოსაინჟინრო სასწავლებელში მიიყვანა. ეს 1971 წელს იყო. ილია უკვე შორეული ნაოსნობის კაპიტანი იყო... დიახ, ოდესის სასწავლებელი დამთავრებულიც არ ჰქონდა, როცა (1975 წელს) შორეული ნაოსნობის კაპიტანი გახდა. ეს პატივიც შუახევის რაიონიდან პირველს ერგო.

მოგვიანებით ილიას გზას დაადგნენ წაბლანელები გივი და გურამ ველიაძეები, ლომანაურელი ბიჭიკო ფუტკარაძე და ბევრი სხვა.

პირველი შუახეველი შორეული ნაოსნობის კაპიტანი სიცოცხლის ბოლო დღემდე მსოფლიოს ოკეანეებსა და ზღვებს სერავდა. ზღვაოსნობა ხელს ვერ უშლიდა ოჯახისა და მშობლიური შუახევის სიყვარულში. მისი ვაჟები რუსლანი და რაული ერისა და ქვეყნის სამსახურში დგანან. რაულმა მამის პროფესია აირჩია. იგი შორეული ნაოსნობის გემის კაპიტნის თანაშემწეა.

- მამის რჩევა-დარიგება, დამოკიდებულება ზღვასთან, მეგობრებთან, გემის ეკიპაჟის წევრებთან ჩემთვის საფუძველთა-საფუძველი იყო. იგი იმ დროს გავიდა ზღვაში, როცა საქართველოს საკუთარი გემები ჰყავდა, ბათუმში შესაბამისი სამსახურიც იყო. იგი ხშირად გვიყვებოდა სანაოსნოს უფროსის ანატოლი კაჭარავას გმირობასა და თავდადებაზე. თაობებისა და ჩემი ოცნებაცაა ქვეყანას ისევ გაუჩნდეს სანაოსნო სამსახური და გემები შავ ზღვაზე, - გვითხრა რაულმა.

წელს, დეკემბერში შუახევის რაიონის დაარსებიდან 70 წელი სრულდება. ზეიმის სამზადისი უკვე დაწყებულია. განსაკუთრებული პატივი მიეგება ადამიანებს, ვინც შუახევის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აღმასვლაში თავიანთი წვლილი შეიტანეს. ილია დავითაძის წვლილი, მართლაც, გამორჩეულია. ასეთებმა შუახევის სახელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანეს.

***„ ზღვაოსნობის დიდმა სიყვარულმა ილია ოდესის უმაღლეს საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელში მიიყვანა. ეს 1971 წელს იყო. ილია უკვე შორეული ნაოსნობის კაპიტანი იყო... დიახ, ოდესის სასწავლებელი დამთავრებულიც არ ჰქონდა, როცა (1975 წელს) შორეული ნაოსნობის კაპიტანი გახდა. ეს პატივიც შუახევის რაიონიდან პირველს ერგო. მოგვიანებით ილიას გზას დაადგნენ წაბლანელები გივი და გურამ ველიაძეები, ლომანაურელი ბიჭიკო ფუტკარაძე და ბევრი სხვა***

# უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეპროგრამის განხორციელება იწყება

მანანა ტაკიძე 577 10 15 17



*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 1 ივლისიდან უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეპროგრამის განხორციელებას იწყებს. პროგრამის მნიშვნელობასა და კრიტერიუმებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი* ***ნინო ნიჟარაძე*** *გვესაუბრება*

**- ქალბატონო ნინო, პროგრამის მიზანი რა არის?**

- უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეპროგრამის მიზანია თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გზით უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების (მათ შორის, ინსემინაცია და ინ ვიტრო განაყოფიერება საკუთარი ბიოლოგიური მასალით) დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობაა. პროგრამა ბევრი ოჯახისთვის მართლაც დიდი შეღავათი და დახმარებაა. მათ, ვისაც წლების განმავლობაში უსახსრობის გამო ვერ შეძლეს ბავშვის ყოლა, ამიერიდან ნატვრის ახდენის შანსი აქვთ.

**- ვინ ისარგებლებს ამ ქვეპროგრამით?**

- ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ წყვილები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები და ვაუჩერის გაცემის პერიოდისთვის არანაკლებ 2 წლის ვადით უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში კი, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

**- ვინ იქნებიან ბენეფიციარები?**

- მათ წარმოადგენენ 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში კანონიერ ქორწინებაში მყოფი უნაყოფო წყვილები, რომელთაც შვილის ყოლის მიზნით ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარება.

**- ისინი დაფინანსებას როგორ მიიღებენ?**

- ქვეპროგრამის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურება წინასწარი ანგარიშფაქტურის მიხედვით შემდეგნაირად დაფინანსდება: 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის და 200 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის - 100%-ით, არაუმეტეს - 10 ათასი ლარისა. 100 ათასიდან 200 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის - 80%-ით, არა უმეტეს 8 ათასი ლარისა. უნაყოფო წყვილიდან ერთ-ერთი პირი მაინც უნდა იყოს 200 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე. სამედიცინო მომსახურების ღირებულების დარჩენილ ნაწილს კი პაციენტი დაფარავს. წლის განმავლობაში უნაყოფო წყვილს დაუფინანსდება უნაყოფობის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ერთი ციკლი, ხელოვნური განაყოფიერების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, განმეორებითი დაფინანსება 4 თვის განმავლობაში 3 ათასი ლარით იქნება შესაძლებელი.

**- ქალბატონო ნინო, პროგრამის დაფინანსების შემდეგ ეტაპებზეც რომ ვისაუბროთ...**

- ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლეები ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ შესაბამისი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში, აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების მკურნალობა დაფინანსდება დარჩენილი თანხის 50%-ით, წლიური ლიმიტი შეადგენს 5 ათას ლარს, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლეებს, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პირობებით არ არის გათვალისწინებული აღნიშნული სამედიცინო სერვისი, ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისები დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**- პროგრამაში ჩართვის მსურველებს რა საბუთები ესაჭიროებათ?**

- პირველ რიგში, უნდა მოგვმართონ განცხადებით, წარმოადგინონ ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად, ასევე, უნდა წარმოადგინონ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშფაქტურა, უნაყოფო წყვილების ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა, ყველა სხვა დოკუმენტი. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

**- განმეორებითი დაფინანსების შემთხვევაში?**

- მათ ასევე უნდა წარმოადგინონ განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, ხელოვნური განაყოფიერების უეფექტობის შესახებ. ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაწყებამდე.

**- რას ვერ დააფინანსებს სამინისტრო?**

- ქვეპროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება უშვილო წყვილისათვის დონორის ბიოლოგიური მასალის გამოყენების ხარჯები (დონორი კვერცხუჯრედი, დონორი სპერმა და დონორი ემბრიონი), უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან. ასევე, ქვეპროგრამით არ დაფინანსდება იმ წყვილის სამედიცინო მომსახურება, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც წლიური შემოსავალი 40 ათასი და მეტი ლარი უფიქსირდება.

# სტუდენტებმა მოსახლეობას მკაფიოდ უთხრეს: მეგობრებო! წინ – ევროპისკენ!

ნათია იმნაიშვილი 27 48 93



***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტური მანიფესტაცია - „ჩვენი ხმა ევროკავშირს“ გაიმართა***

*ბსუ-ის სტუდენტთა ევროპულ მანიფესტაციას, რომელსაც 400-მდე სტუდენტი ესწრებოდა, ორგანიზებას ალექსანდრე აბუსელიძე უწევდა. როგორც თავად ამბობს, სტუდენტების დასავლური პოზიცია და კეთილგანწყობა ევროკავშირისადმი ურყევია. ის მოუწოდებს ახალგაზრდებს, იყვნენ ის თაობა, რომელიც საქართველოს კიდევ უფრო განავითარებს!*

***ალექსანდრე აბუსელიძე,*** *რომელიც სამართალმცოდნეობის პირველი კურსის სტუდენტი და მერიის ახალგაზრდული საბჭოს საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელია, დღეს გაზეთ „აჭარის“ კითხვებს პასუხობს.*

**- პირველ რიგში, დავიწყოთ ევროპულ მანიფესტაციაზე საუბრით, რატომ დაიგეგმა ეს აქცია?**

- ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების პოზიცია ევროკავშირისადმი ცალსახა და ურყევია, მათ სურდათ, გამოეხატათ კეთილგანწყობა და გამოეთქვათ მზაობა აღნიშნულ პროცესებში ჩასართავად. მანიფესტაციის ინიციატორი ვიყავი მე და სტუდენტთა დიდმა ნაწილმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი, რაც ძალიან მახარებს. აქცია, რა თქმა უნდა, ზეპარტიული იყო.

**- მასში ვინ მონაწილეობდა?**

- 400-მდე სტუდენტი და ლექტორები, ასევე, ბსუ-ის რექტორი, ბატონი მერაბ ხალვაში.

**- რა იყო თქვენი მთავარი მიზანი?**

- ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება. მოგეხსენებათ, ახალგაზრდების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია, რადგან ქვეყნის მომავალი ჩვენ ვართ, ის მომავალი თაობა ვართ, რომელმაც საკუთარი სამშობლო კიდევ უფრო წინ უნდა წაიყვანოს და განავითაროს როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად და სოციალურადაც. ევროპული ქვეყნები უკვე მრავალი წელია, მხარს უჭერენ საქართველოს, რომ განავითაროს არსებული რესურსები და გაატაროს მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მხოლოდ სარგებელს მოუტანს.

**- რისი თქმა გსურდათ მოსახლეობისათვის?**

- ახალგაზრდებმა პატივი უნდა ვცეთ უფროს თაობასაც, ხოლო უფროსი თაობა ჩვენში უნდა ხედავდეს მომავალს და იმედს. ამ მანიფესტაციით ბათუმის სტუდენტებმა მოსახლეობას მკაფიოდ ვუთხარით, რომ ჩვენ მზად ვართ, ჩვენ ერთად შევძლებთ, რადგან დღეს ახალგაზრდები ვართ ერთიანი, როგორც არასდროს.

**- როგორ შეაფასებთ რამდენიმე დღის წინ გაჟღერებულ ევროკომისიის გადაწყვეტილებას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით?**

- მე რეალისტი ადამიანი ვარ და საკუთარ პოზიციას ყოველთვის ღიად ვაფიქსირებ. ამიტომ ვიტყვი: ქვეყანაში არის პრობლემები, რომელთა მოგვარებას დრო დასჭირდება, მაგრამ რამდენად გაიწელება პროცესი, ესეც ჩვენზეა დამოკიდებული. ვამბობ იმასაც, რომ მხოლოდ სიტყვით პოზიციის დაფიქსირება არ კმარა, საჭიროა, ვაკეთოთ საქმე ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო, რომ საქართველო ამ დიდი ოჯახის წევრი გახდეს?**

- უპირველესად, საჭიროა ევროკავშირის მიერ წამოყენებული პირობების შესრულება, რაც უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ. ყველას უნდა გვქონდეს სურვილი, ვიცხოვროთ კიდევ უფრო მეტად განვითარებულ ქვეყანაში, ამისთვის უნდა ვიშრომოთ და ვეძიოთ სწორედ ის გზები/მეთოდები, რომლებიც მიზნამდე მიგვიყვანს.

**- თითქმის ყველა ვთანხმდებით, რომ ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის მთავარი საყრდენი არიან. თქვენი აზრით, შესწევთ მათ ძალა, საქართველო ევროპული გზით ატარონ?**

- როგორც აღვნიშნე, ახალგაზრდებიც ვართ ის ძალა, რომელსაც ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენება შეუძლია. ამისთვის საჭიროა სურვილი და მონდომება. დღეს ბევრი ახალგაზრდა ტოვებს საქართველოს და საკუთარ ენერგიას, ცოდნასა და შესაძლებლობას სხვა ქვეყანას ახმარს, რაც სამწუხარო ფაქტია, თუმცა იმედი მაქვს როგორც უფროსი, ისე - ჩვენი თაობის, რომ ერთად შევძლებთ მიზნის მიღწევას.

**- გეგმებზე რას გვეტყვით?**

- სტუდენტები მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ მიმდინარე მოვლენებში. ჩვენ სახელმწიფოს უნდა დავეხმაროთ და არა რომელიმე პარტიას მივანიჭოთ უპირატესობა.

**- რა მთავარი გზავნილი გექნებათ თანატოლებისთვის, ახალგაზრდებისთვის?**

- მსურს, ვიხილო ჩემი ქვეყანა წარმატებული და გამთლიანებული. ჩვენი მეზობელი აგრესორი ხელს გვიშლის ამაში, თუმცა იმედი მაქვს, ცივილური სამყარო გაერთიანდა ამ ბოროტების წინააღმდეგ, გავერთიანდით ჩვენც. არ მსურს, ვიცხოვროთ მუდმივ შიშში, რომ რუსეთი დაიწყებს ომს საქართველოსთან. მსურს, საქართველოს ეკონომიკა არ იყოს დამოკიდებული რუსეთზე. მეგობრებო! წინ - ევროპისკენ! გადავდოთ გვერდით პასიურობა, პარტიული ინტერესები და ყველა ერთი იდეით გავერთიანდეთ.

## „ვადასტურებთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტისა და ყველა შემდგომ გადაწყვეტილებას საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით“

იმ ქვეყნების უსაფრთხოება, რომლებიც ისწრაფვიან, გახდნენ ალიანსის წევრები, გადაჯაჭვულია ჩვენს უსაფრთხოებასთან. მტკიცედ ვუჭერთ მხარს მათ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, - ამის შესახებ ნატოს ახალ, სტრატეგიული კონცეფციის დოკუმენტშია აღნიშნული.

დოკუმენტში ალიანსი კიდევ ერთხელ ადასტურებს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის და ყველა შემდგომ გადაწყვეტილებას საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით.

„გავაძლიერებთ პოლიტიკურ დიალოგს და თანამშრომლობას მათთან, ვინც მიზნად ისახავს ალიანსში გაწევრიანებას, დავეხმარებით, გაძლიერდეს მათი მდგრადობა მავნე ჩარევის წინააღმდეგ, გავაძლიერებთ მათ შესაძლებლობებს და გავაძლიერებთ ჩვენს პრაქტიკულ მხარდაჭერას მათი ევროატლანტიკური მისწრაფებების წინსვლისთვის. გავაგრძელებთ ჩვენს პარტნიორობას ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, საქართველოსა და უკრაინასთან ევროატლანტიკური მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიმართ ჩვენი საერთო ინტერესის წინსვლისთვის. ვადასტურებთ გადაწყვეტილებას, რომელიც მივიღეთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე და ყველა შემდგომ გადაწყვეტილებას საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით“, - ნათქვამია ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში.

ამირან ბურიძე

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 29/06/22, 20[20] სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# ბათუმში ფერიდე აცამბას მემორიალური დაფა გაიხსნა

*ამ დღეებში ბათუმში ჩატარებული ღონისძიების - „აფხაზეთობა აჭარაში“ ფარგლებში, ცნობილი პედაგოგის, მეცნიერის, არაერთი უმაღლესი სასწავლებლის საპატიო დოქტორის, პროფესორ ფერიდე აცამბას სახლთან მემორიალური დაფა გაიხსნა. ცერემონიას ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის, აფხაზური დიასპორის, ბათუმის თვითმმართველობის, საზოგადოების წარმომადგენლები, ოჯახის ახლობლები*

მემორიალური დაფა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბ „ბათუმის“ ინიციატივითა და ბათუმის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით გაკეთდა.

ქალბატონი ფერიდე 1956 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო აზიისა და აფრიკის ქვეყნების რელიგიების ისტორიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ბათუმის საპატიო მოქალაქე, „მეგობრობის ორდენის“ კავალერი.

1938-1940 წლებში ბათუმის პედაგოგიურ სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლობდა რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. სწავლა განაგრძო მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაასრულა და გარდაცვალებამდე (2016 წ) მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ინსტიტუტისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტში. იყო ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 1991 წლიდან - პროფესორი. შვიდი წლის განმავლობაში გახლდათ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგე, 1990 წლიდან - აზიისა და აფრიკის ქვეყნების რელიგიების ისტორიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

მინიჭებული ჰქონდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის წოდება. ქალბატონი ფერიდე გახლდათ ადამიანი, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაერთი ახალგაზრდა ქართველი და აფხაზი მეცნიერის აღზრდაში. იგი დაკრძალულია ბათუმში, აფხაზთა სასაფლაოზე.

ფერიდე აცამბა ყოველ წელს ჩამოდიოდა აჭარაში. აქ ყოფნის ორი თვე მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ბათუმში ყოფნისას მისი სახლის კარი თითქმის არ იკეტებოდა. ყველას უხაროდა მასთან მისვლა. იყო შესანიშნავი მთხრობელი, კეთილი, სათნო, ყველას სიყვარულით რომ ეგებებოდა.



შეკრებილებმა ისაუბრეს ამ შესანიშნავი ადამიანის ღვაწლზე.

- ფერიდე აცამბა იყო ქალბატონი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა თაობების აღზრდაში და თავისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების - აფხაზების განათლებასა და განვითარებაში, აჭარაში მათ გაძლიერებაში. ეს არის მაგალითი, თუ როგორ უნდა გაერთიანდეს ქვეყანა, როგორ უნდა შევქმნათ ერთიანი ქართულ-აფხაზური სივრცე, - თქვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ.

- ქალბატონი ფერიდე იყო ის ადამიანი, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებდა ურთიერთობების დასათბობად. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების განათლებაში. ღირსშესანიშნავი და სასიამოვნო დღეა, ჩვენი დიდი სურვილი განხორციელდა, მის სახლზე მემორიალური დაფა გაიხსნა. ეს ის ქალბატონია, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ქართველებისა და აფხაზების გასაერთიანებლად. იყო ახალგაზრდების გვერდში მდგომი, მისგან ყოველთვის დიდი სითბო და სიყვარული მოდიოდა, ცდილობდა ადამიანებისთვის ყველაფერი კარგი ეკეთებინა. დღეს მისი ოჯახი აგრძელებს იმ საქმეს, რომელსაც ჩვენი და აფხაზების შერიგება, ერთმანეთის პატივება და გვერდში დგომა ჰქვია, - აღნიშნა ბათუმის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნერიმან ცინცაძემ.

- 37 წელია, ამ ოჯახის, ხასან აცამბას რძალი ვარ. ქალბატონი ფერიდე ჩემი მამამთილის და იყო, მაგრამ ეს უბრალოდ სიტყვებია. ამ ოჯახში შემოსვლისთანავე ის ჩემთვის იყო როგორც დედა, დედამთილი, ჩემი სული და გული, მეგობარი. მართალია, მყავდა საყვარელი დედამთილი ქსენია კვასია-კაკბა, მაგრამ მამიდას გამორჩეული ადგილი ეჭირა. როცა გავიცანი, მოსკოვში ცხოვრობდა, ლომონოსოვის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. ფაქტობრივად, ის თითქმის შვიდი ათეული წელი ცხოვრობდა მოსკოვში და მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა ბათუმში. ეს დღეები ჩვენთვის დიდი დღესასწაული იყო. მოსკოვში ყოველთვის აღნიშნავდნენ მის დაბადების დღეს, მაგრამ აქ მის მოსაფერებლად და მისალოცად მაინც გამოვყოფდით ერთ დღეს. იმდენი სითბო და სიყვარული მახსოვს ამ ქალბატონისგან, რომ ზოგჯერ მეეჭვება, ჩემი ნამდვილი დედა ხომ არ არის. საოცარი პიროვნება გახლდათ, დიდთან - დიდი, პატარასთან - პატარა. არ მახსოვს ვინმეზე გაბრაზებული ან ცუდის მთქმელი. ჩამოვიდოდა და აუცილებლად უნდა მოევლო აფხაზი ოჯახებით დასახლებული ეს ადგილები, რომელსაც ხუმრობით „აფხაზეთის ტერიტორიას“ უწოდებდა. თითოეულ ოჯახს მიესიყვარულებოდა, აქ ხომ აფხაზებთან ერთად ქართველებიც ცხოვრობენ, არაერთი შერეული ოჯახია. მას ქართული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ქართული კარგად ჰქონდა შეთვისებული. ჩემთვის საამაყოა, რომ ამ ოჯახის რძალი ვარ, რომ ჩემი მამამთილი იყო ხასან აცამბა, რომელიც მამაჩემთან მეგობრობდა. შესაძლოა, ჩემი და ალექსანდრეს შეუღლებას ამანაც შეუწყო ხელი. როცა ბათუმში ჩამოვიდოდა, რაც ერთი წლის განმავლობაში გვქონდა დაგროვებული, ყველაფერი უნდა მოგვეყოლა. ჩვენთან მის გარეშე არაფერი კეთდებოდა, ვუთანხმებდი ყველაფერს. ჩვენი ოჯახის უფროსი გახლდათ. გარდაიცვალა 94 წლის ასაკში. ბოლო წელს რომ მიდიოდა, არ მინდოდა გაშვება, მაგრამ მითხრა, სტუდენტები მელოდებიან და აუცილებლად უნდა წავიდეო. როცა ჯანმრთელობა დაუმძიმდა, გარკვეული მიზეზების გამო მოსკოვში ვერ წავედი, მაგრამ მას იქ კარგად უვლიდნენ ჩვენი ოჯახის მეგობრები ლია ბაჩანეიშვილი, ნინო ხინიკაძე... მათ ამაგს, ალბათ, ვერ გადავიხდი... იქ ხალხმრავალი გამოსვენება ჰქონდა - მივიდა ზღვა ხალხი, მისი სტუდენტები, კოლეგები... პატივს მიაგებდნენ. მაშინ მივხვდი, რატომ წავიდა უკვე შეუძლოდ მყოფი მოსკოვში, მას სურდა, ბოლო გზაზე იმ დაფასებით გაეცილებინათ, რასაც თითქმის შვიდი ათეული წელი შეალია. ჩემი შვილი ანა, აცამბების გვარის ერთადერთი გამგრძელებელი, გამორჩეულად უყვარდა. როცა აქ ჩამოდიოდა, ანა მას ყოველდღე წერილებს წერდა. სულმოუთქმელად ელოდა მის ჩამოსვლას. ჩემი მეგობრები - სოროპტიმისტები, ქალბატონ ნათელა დუმბაძის ხელმძღვანელობით, დიდი პატივით ხვდებოდნენ მას. პროფესორმა ნათელა დუმბაძემ ფერიდე აცამბას ცხოვრებასა და მოღვაწეობას შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა. ბათუმში ფართო მასშტაბით გადაუხადეს დაბადებიდან 90 წელი. ეს მემორიალური დაფა ბათუმის მერიის, საკრებულოს, ქალბატონ ნერიმან ცინცაძის დიდი ჩართულობით გაიხსნა. ესეც ფერიდე აცამბას შრომის დაფასებაა. მადლობა ყველას, ვინც ამაში მონაწილეობა მიიღო, - გვითხრა მანანა სტამბოლიშვილმა.

- სიტყვებით ვერ აღვწერ, რას ვგრძნობ, როცა ბებოს ვიხსენებ. ის ჩემთვის უნიკალური ადამიანი იყო, სიკეთისა და სითბოს, განათლებულობის დიდი სამყარო. ისე თბილად მოგიდგებოდა, მოგეფერებოდა, რომ, მგონი, ვერც, ერთი დედა ვერ აგრძნობინებს შვილს ასეთ სითბოს. ეს მემორიალური დაფა ჩემი ბებოს კიდევ ერთი დაფასებაა. დღემდე არ მჯერა, რომ აღარ არის. კიდევ მგონია, რომ ჩამოვა. იმ ორი თვის განმავლობაში მიღებული სითბო მთელი წელი მიმყვებოდა, - თქვა ანა აცამბამ.

- მისი ჩამოსვლა ჩემთვისაც დიდი ბედნიერება იყო, ამ ოჯახს წლებია ვიცნობ, მაგრამ პირადად სტუდენტობისას გავიცანი. როცა სოხუმში ვსწავლობდი, ჯერ კიდევ მაშინ ჩაიწერა ჩემი ნომერი. ძალიან სურდა, რომ სწავლა გამეგრძელებინა პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტში. ახლა ვხვდები, რომ დავაშავე - სწორ რჩევას მაძლევდა. მასთან საუბარს არაფერი სჯობდა, ისეთ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, უდიდეს ბედნიერებას განიჭებდა. 30 წლის შემდეგაც კი მაჩვენა სტუდენტობის დროს ჩაწერილი ჩემი ტელეფონის ნომერი. სახლში წასვლისას წამოდგებოდა, ჭიშკრამდე მიმაცილებდა და მეტყოდა, ეს ჩემი ეზო-კარი პატარა აფხაზეთიაო, - გვითხრა სოფელ ფერიის საჯარო სკოლის აფხაზური ენის პედაგოგმა, ლინგვისტმა ლიანა აიკუცბამ.

- ეს მემორიალური დაფა და, საერთოდ, ბევრი რამ, რაც ქალბატონ ფერიდე აცამბას ღვაწლის დაფასებას შეეხება, საქართველოში სოროპტიმისტული ორგანიზაციის დამაარსებლის, პროფესორ ნათელა დუმბაძის დიდი დამსახურებაა. მადლობა ბათუმის მერიას, საკრებულოს, გამორჩეულად - ნერიმან ცინცაძეს ქალბატონი ფერიდე აცამბას ღვაწლის ასე დაფასებისთვის. დიდი მადლობა აფხაზეთის მთავრობას, ბატონ დავით ფაცაციას, რომელმაც გააჟღერა ინიციატივა, რომ ბარელიეფს დაამზადებენ მისი პორტრეტით, რათა ქალბატონი ფერიდეს სახელის უკვდავყოფაში მათი წვლილიც იყოს, - თქვა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბ „ბათუმის“ პრეზიდენტმა მაია სურმანიძემ.



# საერთაშორისო ტურნირი – ფრენბურთში

ბათუმში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლების მონაწილის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელის, აჭარა-გურიის ვეტერანთა საქმეთა სამმართველოს ყოფილი უფროსის, ბათუმელ ფრენბურთელთა ერთ-ერთი გუნდის კაპიტნის (მისი ხელმძღვანელობით აღნიშნული გუნდი გადავიდა საქართველოს უმაღლეს ლიგაში) თემურ ზაქარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ფრენბურთში ვეტერანთა შორის. თემურ ზაქარაძე 2015 წელს, 22 ოქტომბერს, 45 წლის ასაკში, ბათუმის ბულვარში ფრენბურთში ვარჯიშის დროს მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა.

ბულვარში ასევე ხშირად ვარჯიშობდნენ მეორე გუნდის - „ზღვის ლომების“ წევრები, რომელთა შორის ასაკოვანი ადამიანებიც იყვნენ. სწორედ მათ გადაწყვიტეს, რომ ამ შესანიშნავი ადამიანის ხსოვნის საპატივცემულოდ ჩამოეყალიბებინათ კლუბი, რომლის პრეზიდენტადაც მერაბ ზაქარაძე აირჩიეს. 2016 წლიდან ამ კლუბის თაოსნობით ტარდება თემურ ზაქარაძის ხსოვნის ტურნირი. პირველი ტურნირი კლუბისა და თემურ ზაქარაძის ოჯახის თაოსნობითა და მხარდაჭერით გაიმართა. მხოლოდ პანდემიის დროს არ გამართულა. წელს ტურნირის ჩატარება ისევ მოხერხდა და საკმაოდ ფართო მასშტაბითაც, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის 12 გუნდი იბრძოდა, მათ შორის, ბულგარეთის, ბელარუსის, მოლდოვის, ინტერნაციონალურიც, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი თამაშობდა, ასევე, ცაგერისა და აჭარის რამდენიმე გუნდი.



შეჯიბრების ორგანიზატორი გახლდათ აჭარის ვეტერანთა სამსახურისა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია, ტურნირს ორგანიზება, ასევე, გაუწიეს თემურ ზაქარაძის ოჯახმა და ბათუმის სპორტულმა ცენტრმა.

ასპარეზობაში „ცაგერმა“ გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში ბათუმის „ინტერნაციონალი“ დაამარცხა. მესამე ადგილისათვის ერთმანეთს „ბათუმი“ (პირველი გუნდი) და „ხარაულა“ (ამ სოფლიდანაა თემურ ზაქარაძე და სკოლასაც მისი სახელი აქვს მინიჭებული) შეხვდნენ, რომელშიც ბათუმელებმა იმარჯვეს.

- ბულგარეთიდან ვართ. ტურნირში ორგანიზატორმა - აჭარის ვეტერანთა სამსახურმა მოგვიწვია. თემურ ზაქარაძე ცნობილი ადამიანია და მისი სახელობის ტურნირში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი პატივია. ძალიან ორგანიზებული ასპარეზობაა, კარგი გუნდები მონაწილეობენ. მოგვეწონა თქვენი ქალაქი, მართალია, წელს პირველად ვართ, მაგრამ გპირდებით, მომავალშიც აუცილებლად ჩამოვალთ და უფრო მაღალი შედეგებისთვის ვიბრძოლებთ, - გვითხრა კლუბ „შავი ზღვის“ წარმომადგენელმა, ტურნირის მონაწილე ივაილო ნიკიფოროვმა.

როგორც თემურ ზაქარაძის სახელობის აჭარის ვეტერანთა კლუბის - ფრენბურთში და სპორტის სხვადასხვა სახეობაში პრეზიდენტმა მერაბ ზაქარაძემ გვითხრა, საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს (მე-4 ადგილის ჩათვლით) გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები. გარდა ამისა, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა**